პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 59 (5459) | სამშაბათი, 14 მარტი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

სოციალისტური სისტემის დამკვიდრება მთელ სახალხო მეურნეობაში, მრეწველობისა და მიწათმოქმედების რეკონსტრუქციის დამთავრება ახალი ტექნიკის საფუძველზე, მეორე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება მრეწველობის ხაზით, მარცვლეულის ყოველწლიური წარმოების აყვანა 7 მილიარდი ფუთის დონემდე, სილატაკისა და უმუშევრობის მოსპობა და ხალხის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის ამაღლება, — ასეთია ძირითადი მიღწევები, რომლებიც მოწმობენ ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორეს, მისი ხელმძღვანელობის სისწორეს.

ი. სტალინი

მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი

ღრმა სიხარულისა და მღელვარების გრძნობით ისმენდნენ ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის დელეგატები ამხანაგ სტალინის საანგარიშო მოხსენებას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

მთელი ჩვენი ქვეყანა სწავლობს ამ შესანიშნავ, ბრწყინვალე მოხსენებას, სტალინური სიბრძნითა და სიღრმით აღსავსეს, მოხსენებას, რომელიც ყოველ მშრომელს უნერგავს გულში სიამაყეს ჩვენი სამშობლოთი, ლენინ-სტალინის დიადი პარტიით, რომელსაც მივყავართ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

ამხანაგ სტალინის მოხსენება მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია, ახალი ძვირფასი განძია მარქსიზმ-ლენინიზმის საუნჯეში. ეს არის ბრძნული სტალინური თხრობა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დიადი გამარჯვების შესახებ, ეს არის ბრძნული სტალინური პროგრამა ბრძოლისა მომავალი, კიდევ უფრო დიდებული გამარჯვებებისათვის.

მარქსისტულ-ლენინური ანალიზის მძლავრი პროჟექტორით გააშუქა ამხანაგმა სტალინმა პარტიის XVII ყრილობიდან XVIII ყრილობამდე განვლილი ხუთწლედი, ესოდენ მდიდარი უდიდესი მასშტაბისა და მნიშვნელობის მოვლენებით.

კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ეს იყო უაღრესად სერიოზულ ეკონომიურ და პოლიტიკურ შერყევათა პერიოდი, საბჭოთა კავშირისათვის—პერიოდი განუხრელი ზრდისა და აყვავებისა, შემდგომი ეკონომიური და კულტურული აღმავლობისა.

ძლივს იყო თავი დააღწიეს კაპიტალისტურმა ქვეყნებმა 1929-1933 წლების ეკონომიური კრიზისის ჭაობს, რომ 1937 წლის მეორე ნახევრიდან კვლავ მოექცნენ ახალი, კიდევ უფრო მძიმე, კიდევ უფრო სასტიკი კრიზისის მარწუხებში. კაპიტალიზმი, რომელიც ზეზეულად ლპება, სულ უფრო-და-უფრო შორს მიდის სისხლისმღვრელი ავანტიურების გზით, მსოფლიოს რუკის ძალდატანებით გადაკეთების გზით.

გამანადგურებელი ირონიით გამოააშკარავა ამხანაგმა სტალინმა ნამდვილი მნიშვნელობა ფაშისტური აგრესიული ბლოკებისა, რომლებსაც ჰფარავენ „ღერძებისა" და „სამკუთხედების" შირმით, კომინტერნის „კერების" სასაცილო ძებნით მონღოლეთის უდაბნოებში, აბისინიის მთებში, ესპანეთის მაროკოს უღრან ტყეებში.

მთელი მსოფლიოს წინაშე გამომჟღავნებულია ნამდვილი აზრი უწინარეს ყოვლისა ინგლის-საფრანგეთის ყბადაღებული „ჩაურევლობის პოლიტიკისა", რომელიც სინამდვილეში ნიშნავს ფაშისტი აგრესორების მიმართ წაყრუებას, ომის გაღვივებას. ნაჩვენებია ნამდვილი აზრი იმ საეჭვო ხმაურისა, რომელიც ასტეხა ინგლის-საფრანგეთის პრესამ საბჭოთა უკრაინის შესახებ და რომელიც მიზნად ისახავდა პროვოკაციულად გამოეწვია კონფლიქტი საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის სამისოდ აშკარა საფუძვლების უქონლად. ეს „მშვიდობისმყოფელნი" უკვე ნიღაბახდილი არიან!

ნამდვილ სიმღერად, გამარჯვებული სოციალიზმის ნამდვილ ქებათა-ქებად გაისმის ამხანაგ სტალინის მოხსენების ის კარი, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობისადმი. მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, კულტურის ზრდა, ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების განმტკიცება—აი რას მოწმობენ მჭერმეტყველურად ფაქტები, ციფრები, ცხრილები.

მრეწველობისა და მიწათმოქმედების რეკონსტრუქციის დამთავრება ახალი თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე — ასეთია განვლილ ხუთწლედში სოციალისტური ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი შედეგი. ახალი ტექნიკით მრეწველობისა და მიწათმოქმედების აღჭურვის თვალსაზრისით ჩვენი ქვეყანა ყველაზე უფრო მოწინავეა ყოველ სხვა ქვეყანასთან შედარებით, სადაც ძველი მოწყობილობა ხელ-ფეხს უბორკავს წარმოებას და აფერხებს ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეს.

სოციალიზმმა სრული გამარჯვება მოიპოვა მრეწველობის დარგშიც და სოფლის მეურნეობის დარგშიც. ცხრაჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ჩვენი მრეწველობა ომამდელ დროსთან შედარებით! თავისი ტექნიკის დონით, განვითარების ტემპებით ჩვენს ინდუსტრიას ბადალი არა ჰყავს მთელს მსოფლიოში. ძირითადად დამთავრებულია ჩვენი მიწათმოქმედების რეკონსტრუქციაც ახალი, თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე. იზრდება და მტკიცდება საქონელბრუნვა და ტრანსპორტი.

კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, კაპიტალიზმისადმი დაპირდაპირებით, სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას სარგებლობა მოაქვს ყველა მშრომელისათვის, მთელი საზოგადოებისათვის. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდასთან ერთად იზრდება საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული მდგომარეობა. ამას მოწმობს სახალხო შემოსავლის ერთი-ორად და კიდევ უფრო მეტად ზრდა ხუთი წლის განმავლობაში—1933 წლის 48,5 მილიარდი მანეთიდან 105,0 მილიარდ მანეთამდე 1938 წელს, მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდა, ხელფასის წლიური ფონდისა და საშუალო-წლიური ხელფასის ზრდა, კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდა.

ექსპლუატატორული კლასების ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება — ასეთია განვლილი ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარნი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების დარგში.

საბჭოთა საზოგადოება წარმოადგენს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მეგობრული თანამშრომლობის სურათს.

ამაშია საბჭოთა წყობილების სიმტკიცის საფუძველი, ამაშია საბჭოთა ხელისუფლების დაუშრეტელი ძალის წყარო. „ეს, სხვათა შორის, იმას ნიშნავს, რომ ომის შემთხვევაში ჩვენი არმიის ზურგი და ფრონტი, მათი ერთგვაროვნობისა და შინაგანი ერთიანობის გამო, უფრო მტკიცე იქნება, ვიდრე ყოველ სხვა ქვეყანაში, რაც საჭიროა ახსოვდეთ სამხედრო შეტაკებათა საზღვარგარეთელ მოყვარულთ".

სოციალიზმის დიადი გამარჯვებანი ახალ, წარმტაც პერსპექტივებს შლიან ჩვენი ქვეყნის წინაშე. ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს — ასეთია ამოცანა, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით ისმება.

„რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეკონომიურად გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს? ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, წინსვლის სერიოზული და დაუცხრომელი სურვილი და მზადყოფნა გავიღოთ მსხვერპლი, მოვახდინოთ სერიოზული კაპიტალური დაბანდებანი ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ყოველმხრივ გაფართოებისათვის. გვაქვს თუ არა ჩვენ ეს მონაცემები? უეჭველად გვაქვს! შემდეგ, ამისათვის საჭიროა წარმოების მაღალი ტექნიკისა და მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპების არსებობა. გვაქვს თუ არა ჩვენ ეს მონაცემები? უეჭველად გვაქვს! და, ბოლოს, ამისათვის საჭიროა დრო".

გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიურად მრეწველობის უმნიშვნელოვანეს ნაწარმთა წარმოების მოცულობის მხრივ — მოსახლეობის თვითეულ სულზე გაანგარიშებით — ეს ამოცანა საჭიროა გადაიჭრას უახლოეს 10-15 წლის განმავლობაში. დიდი და საპატიო ამოცანები დგას სოციალიზმის ქვეყნის წინაშე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის შემდგომი აღმავლობის დარგში.

ამხანაგ სტალინის მოხსენებამ დაგვიხატა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის სრული გამარჯვების სურათი. სამარცხვინო ბოლო გახდა პარტიის ყველა მტრის ხვედრი. საბჭოთა ხალხმა აღგავა პირისაგან მიწისა ტროცკისტულ-ბუხარინული უწმინდურება, რომელიც წარმოადგენდა ჯაშუშთა, მავნებელთა და მკვლელთა საზიზღარ ხროვას, უცხოეთის წინაშე მლიქვნელობის მონური გრძნობით გამსჭვალულს, ყოველი უცხოელი პატარა მოხელის პირველი დაძახილისთანავე ყოველგვარი სისაძაგლისათვის მზადმყოფ გამყიდველ მონათა უბადრუკ ბანდას. ეს გადაგვარებულნი გადაიქცნენ ჯაშუშთა, გამცემთა, ხალხის უბოროტეს მტერთა უიდეო ბანდად. „გაანადგურა რა ხალხის მტრები და გასწმინდა რა გადაგვარებულთაგან პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, პარტია გახდა კიდევ უფრო ერთიანი თავის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში, იგი გახდა კიდევ უფრო შემჭიდროებული თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო". პარტია მონოლიტური და შემჭიდროებულია ისე, როგორც არასოდეს, თავისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ამხანაგ სტალინის გარშემო!

ბოლშევიკური პარტიის კოლექტიურმა გამოცდილებამ, მისმა კოლექტიურმა გონებამ და სიბრძნემ ხორცი შეისხა კადრების სწორად შერჩევის, მათი დაწინაურების, მათი განაწილების ძირითადი პრინციპების სტალინურ დახასიათებაში. კადრები პარტიისა და სახელმწიფოს ოქროს ფონდია. საჭიროა სიფრთხილით ვეპყრობოდეთ მათ. საჭიროა ვიცნობდეთ კადრებს, გულდასმით ვსწავლობდეთ თვითეულ მუშაკს, ვზრუნავდეთ ახალი კადრების დაწინაურებისათვის, მათი ზრდისათვის.

ამხანაგმა სტალინმა გააკრიტიკა იმ ხელმძღვანელთა შეცდომები, რომლებიც ცდილობენ ორიენტაცია აიღონ ან მხოლოდ ძველს, ან მხოლოდ ახალ კადრებზე—მან შესანიშნავი სიცხადითა და სიმარტივით გამოამჟღავნა ამ შეცდომის ფესვი, დაგვიხატა ძველი და ახალგაზრდა კადრების ღირსებანი და ნაკლოვანებანი და დაგვანახვა, რომ „ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ან ძველ კადრებზე მოვახდინოთ ორიენტირება ან ახალ კადრებზე, არამედ იმაში, რომ ავიღოთ კურსი ძველი და ახალი კადრების შეხამებაზე, შეერთებაზე პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი მუშაობის ერთ საერთო ორკესტრში".

მთელი სიგრძე-სიგანით არის დაყენებული ამოცანა პარტიული პროპაგანდისა, პარტიის წევრთა და პარტიული კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდისა, კადრების იდეოლოგიური წრთობისა, მათი პოლიტიკური და თეორიული დონის ამაღლებისა. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის შემდეგ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, რომ ჩვენი საკითხების ცხრა მეათედი უკვე გადაწყვეტილია. ჩვენს ქვეყანაში მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდის ახალ გაქანებას საფუძველი ჩაუყარა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებამ.

ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი რთული საერთაშორისო ვითარებისა, უკვე დაწყებული მეორე იმპერიალისტური ომის ვითარებისა. ამხანაგ სტალინის მოხსენებაში შეჯამებულია შედეგები სოციალიზმის დიადი გამარჯვებისა სახალხო მეურნეობის დარგში, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დარგში და გამოყვანილია კანონი სოციალისტური საზოგადოების განვითარებისა. პარტიის ბელადმა და მასწავლებელმა, მსოფლიო კომუნიზმის ბელადმა ჩვენი ისტორიული განვითარების გზები დაგვისახა, მოგვცა სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის გაშლილი პროგრამა. ამხანაგმა სტალინმა დაამუშავა და ახლებურად დააყენა საკითხი სახელმწიფოს შესახებ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ეპოქაში.

როგორც ვიცით, მარქსი და ენგელსი სახელმწიფოს შესახებ მოძღვრებას ამუშავებდნენ მონოპოლისტური კაპიტალიზმის წინადროინდელ პირობებში. ლენინმა თავისი შესანიშნავი წიგნი „სახელმწიფო და რევოლუცია" დასწერა დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე რამდენიმე თვით ადრე. ლენინი აპირებდა დაეწერა „სახელმწიფოს და რევოლუციის" მეორე ნაწილი, სადაც მას განზრახული ჰქონდა 1905 და 1917 წლების რუსეთის რევოლუციის გამოცდილების მთავარი შედეგების შეჯამება. სიკვდილმა არ დააცალა მას ამ ამოცანის შესრულება. ლენინის საქმის დიდმა განმგრძობმა, პარტიის ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა მოგვცა გაშლილი მარქსისტულ-ლენინური თეორია სახელმწიფოსი, განაზოგადა რა გიგანტური გამოცდილება საბჭოთა სახელმწიფოს ოცი წლის არსებობისა კაპიტალისტურ გარემოცვაში. ამით გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა მსოფლიოში ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფოს მტრებს, ამით განუზომლად გამრავლდა კომუნიზმის ძალები. ჩვენი დიადი პარტია, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა გამდიდრდა მოძღვრებით სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში.

ამხანაგ სტალინის მოხსენება მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. პარტიამ მიიღო მძლავრი თეორიული იარაღი და პრაქტიკულ სამუშაოთა პროგრამა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდისათვის.

კომუნიზმის საქმემ, ლენინ-სტალინის საქმემ გაიმარჯვა დედამიწის 1/6 ნაწილზე, კომუნიზმის იდეები დიად მატერიალურ ძალად იქცნენ. ლენინ-სტალინის საქმე მთელს მსოფლიოში გაიმარჯვებს!

„პრავდის" მოწინავე, 12/III.

დამთავრდა სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის მეხუთე ტირაჟი

მაგნიტოგორსკი, 13 მარტი (საკდესი). გუშინ დამთავრდა სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის მეხუთე ტირაჟი. გათამაშებულია 53 მოგება თვითეული 3.000 მანეთის რაოდენობით, 265 მოგება—1000 მანეთის რაოდენობით, 2.650 მოგება—500 მანეთის რაოდენობით, 53.000 მოგება—200 მანეთის რაოდენობით და 224.932 მოგება—150 მანეთის რაოდენობით. სულ გათამაშებულია 280.900 მოგება—46.088.800 მანეთის რაოდენობით.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

ყრილობის დღიური

11 მარტი, დილის სხდომა

სხდომის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ყველანი თავიანთ ადგილზე არიან. ბოლშევიკური პარტიის ისტორიული ყრილობის დელეგატებს ემჩნევათ დიდი აღფრთოვანება, გამოწვეული ამხანაგ სტალინის მოხსენებით.

დადგა მუშაობის დრო. პრეზიდიუმის მაგიდასთან პარტიის ხელმძღვანელთა გამოჩენას დელეგატები გულმხურვალედ ესალმებიან. ყრილობა გადადის შემდეგი საკითხის განხილვაზე. თავმჯდომარე— ამხ. **ჟდანოვი** ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს ამხ. **ვლადიმირსკის.**

მომხსენებელი, რომელსაც ტაშით ხვდებიან იძლევა პარტიის ფინანსიური მეურნეობის მდგომარეობის დაწვრილებით მიმოხილვას.

განვლილ პერიოდში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სასტიკად ადევნებდა თვალყურს ფინანსიური მეურნეობის მდგომარეობას ოლქკომებსა, სამხარეო კომიტეტებსა და ცალკეულ ძირეულ პარტორგანიზაციებში.

ფინანსიური მეურნეობის გაუმჯობესება, პარტიის სახსართა ხარჯვის კონტროლი შემდეგშიც რჩება პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დიდმნიშვნელოვან ამოცანად.

თავისი მოხსენების მეორე ნაწილში ამხ. ვლადიმირსკი აღნიშნავს პარტიის წევრთა და კანდიდატთა აღრიცხვის გაუმჯობესებას როგორც თვით ცენტრალური კომიტეტის აპარატში, ისე ქვემდგომ ორგანოებში. პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ და გამოცვლამ ხელი შეუწყო პარტიულ დოკუმენტთა აღრიცხვისა და შენახვის სისტემის მოწესრიგებას.

ცენტრალური სარევიზიო კომისია სისტემატიურად ამოწმებდა პარტიის წევრებისა და უპარტიო მოქალაქეებისაგან პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ოლქკომებში შემოსულ საჩივართა და განცხადებათა განხილვის საქმის დაყენებას.

ცენტრალური კომიტეტის აპარატში ჩატარებულმა შემოწმებამ დაგვანახვა, რომ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს აქ უდიდესი ყურადღება ექცევა.

— ცენტრალურ კომიტეტში შემოსული არც ერთი განცხადება, არც ერთი წერილი არ რჩება უყურადღებოდ და კონტროლის გაუწევლად,—აღნიშნავს მომხსენებელი, — ამაში გამოიხატება გულისხმიერი და მზრუნველობითი დამოკიდებულება ადამიანებისადმი ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის მხრივ **(დარბაზში ძლიერი ტაში გაისმის).**

მომხსენებელი მოგვიწოდებს ვისწავლოთ ბოლშევიკურად მუშაობა, როგორც ყოველთვის გვასწავლიდა მუშაობას ამხანაგი ლენინი, როგორც გვასწავლის ჩვენ მუშაობას ამხანაგი სტალინი.

ამხანაგ სტალინის სახელის ხსენება იწვევს მქუხარე ტაშს, რომელიც ოვაციებში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან, გაისმის შეძახილები: „ვაშა", „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!"

ყრილობა იწყებს კომინტერნის აღმასკომში საკ. კ. პ. (ბ) დელეგაციის საანგარიშო მოხსენების მოსმენას. მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხანაგ მანუილსკის.

თავის ვრცელ მოხსენებაში ამხ. მანუილსკიმ მოგვცა საერთაშორისო მდგომარეობის, მუშათა მოძრაობის მდგომარეობის ღრმა ანალიზი, გააშუქა კომუნისტური ინტერნაციონალისა და მისი სექციების მოღვაწეობა და ამოცანები.

— ამხანაგ სტალინის მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე, — ამბობს მომხსენებელი,—ეს არის ისტორიული ნიშანსვეტი, რომელიც მოასწავებს სსრ კავშირის შესვლას განვითარების ახალ ხანაში, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში. სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება არევოლუციურებს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელ მასებს, იწვევს მსოფლიო რეაქციის შიშს იმ ქვეყნის წინაშე, რომელიც, კაპიტალისტური გარემოცვის მთელი მზაკვრობის მიუხედავად, ანხორციელებს თავის დიად ამოცანებს.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ XVII პარტიულ ყრილობაზე გენიალურად იწინასწარმეტყველა, რომ 1929-33 წლების კრიზისის შემდეგ დამდგარი დეპრესია იქნება არა ჩვეულებრივი დეპრესია, არამედ განსაკუთრებული სახის დეპრესია.

საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათებისას, ამხანაგმა სტალინმა მაშინ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმე აშკარად მიდის ახალი იმპერიალისტური ომისაკენ.

ამხანაგ სტალინის ეს პროგნოზი სავსებით და მთლიანად დადასტურდა.

ამხ. მანუილსკი მოგვაგონებს მეორე იმპერიალისტური ომის წარმოშობას, ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფაშიზმის ავანტიურებს მხარს უჭერენ მსოფლიო რეაქციის ყველა ძალები.

ეგრეთწოდებული დემოკრატიული ქვეყნების რეაქციული მმართველები ისწრაფვიან მიმართონ ფაშიზმის აგრესია სსრ კავშირის წინააღმდეგ და ამით თავი დააღწიონ აგრესორების პრეტენზიებს ამ ქვეყნების კოლონიებზე. ამავე დროს ინგლისის რეაქციონერები უარს არ იტყვიან იმაზე, რომ სსრ კავშირის ხელით ჩაუმტვრიონ კბილები გერმანიის იმპერიალიზმს, დაასუსტონ გერმანია და შეუნარჩუნონ ინგლისის იმპერიალიზმს გაბატონებული მდგომარეობა ევროპაში.

ინგლისის რეაქციონერები ისწრაფვიან, რათა გაიყონ იტალიასთან ერთად საფრანგეთის ხარჯზე ამ უკანასკნელის გავლენის სფერო ხმელთაშუა ზღვაზე და ამავე დროს ჩამოაშორონ იტალია ბლოკს გერმანიასთან. ინგლისელი რეაქციონერები ოცნებობენ შორეულ აღმოსავლეთში ჩინეთის განაწილებაზე, მაგრამ ისინი ხელს არ უშლიან იაპონიის დაუძლურებასაც, რათა შემდეგ გამოვიდნენ არბიტრის როლში ახალი „მიუნხენის" ზავის დასამყარებლად შორეულ აღმოსავლეთში.

ბოლოს, ინგლისის რეაქციას არ სურს დაუშვას ფაშისტური რეჟიმის დამსხვრევა არც გერმანიაში, არც იტალიაში და არც იაპონიაში.

„ინგლისის კაპიტალიზმი,—ამბობდა ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1927 წელს, — ყოველთვის იყო, არის და იქნება სახალხო რევოლუციების ყველაზე ბოროტი ჩამხშობი... მაგრამ ინგლისის ბურჟუაზიას არ უყვარს იომოს თავისი საკუთარი ხელით. იგი ყოველთვის ამჯობინებდა ომს სხვისი ხელით".

თავისი ყაჩაღური გეგმებით ინგლისის რეაქციული ბურჟუაზია სამარეს ითხრის.

შეთქმულება მიუნხენში—ეს არის ინგლისის რეაქციული ბურჟუაზიის ვერაგული. მაგრამ უიმედო გეგმა. მიუნხენელმა „მშვიდობისმყოფელებმა" მშვიდობიანობა კი არ მოუტანეს კაცობრიობას, ისინი ახალ მსოფლიო იმპერიალისტურ ომს აჩაღებენ. მიუნხენის შემდეგ მოხდა ახალი ნახტომი შეიარაღების დარგში.

განვლილი ხუთი წლის მანძილზე კიდევ უფრო გაღრმავდა უფსკრული გამარჯვებულ სოციალიზმსა და პარაზიტულ, ლპობად კაპიტალიზმს შორის.

სსრ კავშირი მიემართება მაღლა, უკლასო საზოგადოების მწვერვალებისაკენ, კომუნიზმისაკენ. კაპიტალისტური სამყარო მიექანება დაბლა, ეკონომიური კრიზისებისაკენ, რეაქციისაკენ, ომებისაკენ.

ამხ. მანუილსკი გადადის თავისი მოხსენების მეორე ნაწილზე—ერთიანი და სახალხო ანტიფაშისტური ფრონტისათვის კომუნისტური პარტიების ბრძოლის მიმოხილვაზე.

ამხ. მანუილსკის შინაარსიანი, მკაფიო მოხსენება არაერთხელ იქნა შეწყვეტილი ყრილობის მქუხარე ტაშით. ყრილობის დელეგატები გულმხურვალედ გამოხატავენ თავიანთ ძმურ სოლიდარობას კომუნისტურ პარტიებთან, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელ მასებთან.

თითქმის სამი წელია,—ამბობს ამხ. მანუილსკი,—რაც მცირედშეიარაღებული ესპანელი ხალხი უთანასწორო ბრძოლას აწარმოებს მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის საქმისათვის. ეს შეუპოვარი ბრძოლა ხანგრძლივი დროის განმავლობაში შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ესპანეთში დამყარებული იყო მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობა, გამოჭედილი იყო მუშათა კლასის მჭიდრო კავშირი გლეხობასთან და ესპანეთის ხალხის მასები გაერთიანებული იყვნენ ერთიან ანტიფაშისტურ სახალხო ფრონტად. ესპანელი ხალხი თავის ბრძოლაში სარგებლობდა მშრომელების საერთაშორისო მხარდაჭერით და უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირის ხალხთა და ყველა მშრომელთა მამის — ამხანაგ სტალინის პოლიტიკური მხარდაჭერით.

ბოლშევიკების ყრილობა გულმხურვალედ მიესალმება ესპანელ ხალხს, რომელიც მთელ მსოფლიოს უჩვენებს გმირობის ნიმუშებს.

ომი ჩინეთში იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო განმათავისუფლებელი ომის ხასიათს ღებულობს.

მსოფლიო რეაქცია ვერ წამოაჩოქებს ჩინეთისა და ესპანეთის დიდ ხალხებს.

თავისი მოხსენების მესამე ნაწილში ამხ. მანუილსკი ლაპარაკობს კომუნისტური ინტერნაციონალის სექციების მდგომარეობაზე.

კომუნისტურ ინტერნაციონალს კაპიტალისტურ ქვეყნებში საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობის მომენტისათვის ჰყავდა 860.000 კომუნისტი. დღეს მის რიგებშია 1.200.000 კაცი. კომკავშირელთა, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მომხრე ახალგაზრდა რევოლუციონერთა რიცხვი 110 ათასი კაციდან 746 ათასამდე გაიზარდა. მთლიანად ეს არის თითქმის 2 მილიონი კაცისაგან შემდგარი არმია.

ილაპარაკა რა იმ ამოცანებზე, რომლებიც დგანან მოძმე კომპარტიების წინაშე, ამხ. მანუილსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი მუდამ მიდიოდა ლენინისა და სტალინის მიერ ნაჩვენები გზით.

სტალინის ხელმძღვანელობით საკავშირო კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ) და საბჭოთა ხალხმა აღგავეს პირისაგან მიწისა ფაშისტური აგენტურა—ტროცკისტ-ბუხარინელი და სხვა ბანდიტები.

ამხანაგმა სტალინმა არა მარტო დაიცვა მარქს-ენგელს-ლენინის დიადი მოძღვრება მტრული ელემენტების მხრივ დამახინჯებისაგან, არამედ მან შემდგომ განავითარა ეს მოძღვრება კაპიტალიზმის საერთო კრიზისის და სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ახალ პირობებთან შეფარდებით. მან შეაიარაღა ამ მოძღვრებით პროლეტარიატი. მან გამარჯვების რწმენით აღავსო ყველა ქვეყნის მუშების გული.

მსოფლიო ბურჟუაზიის ვარაუდი ჩაიფუშა და კვლავ ჩაიფუშება, იმიტომ რომ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე, — ამთავრებს მომხსენებელი, —სდგას მთელი მშრომელი კაცობრიობის გენია—ჩვენი მშობლიური, საყვარელი სტალინი.

ამხ. მანუილსკის უკანასკნელი სიტყვები იფარება მთელი დარბაზის მქუხარე ოვაციებით. ყოველი მხრიდან გაისმის შეძახილები: „ვაშა", „გაუმარჯოს მსოფლიო კომუნიზმის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!".

(საკდესი).

11 მარტი, საღამოს სხდომა

ჩვენ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენის ბედნიერი მოწმენი ვართ. ეს მოვლენაა პარტიის XVIII ყრილობა, — ყრილობა, რომელიც ერთ ყველაზე ბრწყინვალე და ამაღლვებელ ფურცელთაგანს ჰმატებს საბჭოთა ხალხის ისტორიას, მთელი პროგრესიული მოწინავე კაცობრიობის ისტორიას.

ეს დიადი ფურცელი იწყება ამხანაგ სტალინის მოხსენებით — თავისი სიღრმითა და ფერადოვნებით განსაცვიფრებელი მოხსენებით. ამ დღეებში მთელი ჩვენი ქვეყანა სტალინის ბრძნული სიტყვის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება.

ყრილობის საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი დღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო. და თვითეული ორატორი ისწრაფვის ცოტათი მაინც გადმოგვცეს იმ სიამაყისა და სიხარულით აღსავსე მღელვარების გრძნობა, რომლებიც ყველა ჩვენგანში გამოიწვიეს ბელადის დაუვიწყარმა სიტყვებმა. და, ისევე როგორც ყრილობის გახსნის დღეს, დელეგატები გულმხურვალე ოვაციით შეეგებნენ ამხანაგ სტალინს. ამ მქუხარე ტაშით დელეგატები მთელი პარტიის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გადასცემენ თავიანთ სიხარულს, ალტაცებას, სიყვარულსა და მადლობას კომუნიზმის სახელოვან გამარჯვებათა დიდ ორგანიზატორს.

თავმჯდომარე ამხ. ჟდანოვი პირველ სიტყვას აძლევს ამხ. **შჩერბაკოვს.**

— ის გზები და პერსპექტივები,—სთქვა ამხ. შჩერბაკოვმა,—რომლებიც ამხანაგმა სტალინმა გენიალურად დასახა თავის მოხსენებაში, ფრთებს ასხამენ, აღაგზნებენ, აღაფრთოვანებენ პარტიასა და ყველა მშრომელს, წარმოშობენ ახალ ტალღას ენერგიისას, დაუცხრომელი სურვილისას—ვიაროთ წინ, დავძლიოთ ყველა სიძნელე, დავამსხვრიოთ ყოველგვარი ზღუდე და ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ ჩვენი ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის.

პარტიული ორგანიზაციების არჩეულთა გამოსვლები ყრილობაზე წარმოადგენენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის საუცხოო ილუსტრაციებს.

კამათში გამოსული თვითეული დელეგატი თავისი რესპუბლიკის, თავისი ოლქის თუ მხარის გამოცდილებით გვიჩვენებს ბოლშევიკების სიმძლავრესა და ძალას, მათს ერთიანობას, მათს მტკიცე დარაზმულობას ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის გარშემო. პარტიის გენერალურმა ხაზმა გაიმარჯვა. ყველგან იზრდება სახალხო მეურნეობა, იზრდება მშრომელთა კეთილდღეობა. ყველგან იზრდება და ფართოვდება სოციალისტური კულტურა.

ამხ. **შჩერბაკოვი** ლაპარაკობს მოსკოვისა და მისი ოლქის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფ განვითარებაზე.

მეორე ხუთწლედის განმავლობაში მოსკოვის მრეწველობის ძირითადი ფონდები ერთიორად გადიდდა. მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1932 წლის 5.621 მილიონი მანეთიდან ორნახევარჯერ გაიზარდა და 1937 წელს 14.119 მილიონ მანეთს მიაღწია.

მოსკოვის მრეწველობამ გასულ წელს გამოიმუშავა 15.900 მილიონი მანეთის პროდუქცია, 2,8-ჯერ მეტი, ვიდრე 1932 წელს.

ასეთივე სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა მოსკოვის ოლქის მრეწველობაც. მეორე ხუთწლედის განმავლობაში ოლქის მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1932 წლის 2.428 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 5.853 მილიონ მანეთამდე 1937 წელს.

დელეგატები ყურადღებით უსმენენ ორატორს, როდესაც ის ლაპარაკობს დედაქალაქის საქალაქო მეურნეობაში მომხდარ უდიდეს ცვლილებებზე.

დედაქალაქის საქალაქო მეურნეობაში 1934 წლიდან 1938 წლამდე მოსკოვის საბჭომ დააბანდა 3 მილიარდზე მეტი მანეთი. წელს ბანდდება 800 მილიონი მანეთი.

შემდეგ ამხ. შჩერბაკოვი ლაპარაკობს მოსკოვის რეკონსტრუქციაზე. დედაქალაქის მთავარი ქუჩები გადაქცეულია განიერ მაგისტრალებად. მოსკოვში გაუმჯობესდა ტრანსპორტი. 1934 წლის 1 იანვრისათვის მოსკოვში იყო 400 ტაქსი. ამჟამად დედაქალაქს აქვს 3.890 მსუბუქი და 1.332 სატვირთო ტაქსომოტორი.

ლაპარაკობს რა სტალინური ხუთწლედების გრანდიოზულ წარმატებებზე, ამხ. შჩერბაკოვი ამბობს:

— სულ ამ რამდენიმე წლის წინათ იყო, რომ საბჭოთა ადამიანები ოცნებობდნენ მოსკოვ-ვოლგის არხზე, მეტროპოლიტენზე. ოცნებას ხორცი შეესხა!

ყრილობის დელეგატები ძლიერად უკრავენ ტაშს.

დასასრულ ამხ. შჩერბაკოვმა აღნიშნა, რომ აუცილებელია დაჩქარდეს საბინაო მშენებლობა. საჭიროა ენერგიულად დაინერგოს ჩქარი მშენებლობის მეთოდები. ამისათვის აუცილებელია შეიქმნას საშენი მასალებისა და საშენი დეტალების მძლავრი მრეწველობა.

— ერთერთ შესანიშნავ უდიდეს მონაპოვარს ჩვენს ქვეყანაში, — ამბობს ამხ. იუსუპოვი (უზბეკეთი), — წარმოადგენს სოციალიზმის სრული გამარჯვება საბჭოთა აღმოსავლეთის ნაციონალურ რესპუბლიკებში. ნახევრადკოლონიური ქვეყნიდან უზბეკეთი გადაიქცა აყვავებულ რესპუბლიკად, უზბეკეთის ხალხი თანასწორუფლებიანი ხალხი გახდა დიადი საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში.

ხალხმა თავისი ბედნიერება მოიპოვა ხალხის მტრებთან ბრძოლაში. ტროცკისტ-ბუხარინულ და ნაციონალისტურ ბანდასთან ბრძოლაში.

ამხ. იუსუპოვს მოჰყავს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ზრდის, კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდის ფაქტები. შარშან უზბეკეთის კოლმეურნეობებმა მიიღეს 2.300 მილიონი მანეთი წმინდა ფულადი შემოსავალი. რესპუბლიკაში არის 500 მილიონერი კოლმეურნეობა, მათ შორის არიან კოლმეურნეობები, რომელთა შემოსავალი 8 მილიონ მანეთს აღემატება, და სადაც კოლმეურნეთა შრომადღე 28 მანეთს უდრის.

ხუთი წლის განმავლობაში სკოლების ქსელი რესპუბლიკაში 14-ჯერ გაიზარდა. სკოლებში სწავლობს მილიონამდე ვაჟი და ქალიშვილი. ეს უდიდესი მიღწევაა თუ გავიხსენებთ, რომ უზბეკეთში რევოლუციამდე წერა-კითხვის მცოდნეობა მეტად დაბალი იყო. მეზობელ ქვეყანაში, კაპიტალისტურ ავღანისტანში გაჰყვირიან, რომ ქაბულში იხსნება პირველი ცხრაწლედი ხალხის მთელი ისტორიის მანძილზე, უზბეკეთში კი ამჟამად არის 100 ათასი ექიმი, პედაგოგი, ინჟინერი და სხვ. რესპუბლიკაში მარტო ერთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულ იქნა 25 ათასი ნიჭიერი ადამიანი. ეს კადრები აღზრდილი არიან პარტიის მიერ, ეს ადამიანები არიან ხორცი-ხორცთაგანი ხალხისა.

— უზბეკ ხალხს, — ამბობს ამხ. იუსუპოვი, — რომელიც ეყრდნობა დიდი რუსი ხალხის დახმარებას, უდიდეს დახმარებას, რომელსაც მთავრობა და პარტიის ცენტრალური კომიტეტი უწევენ მას, შეუძლია უთხრას აღმოსავლეთის ყველა ჩაგრულ ხალხს: თუ გინდა განთავისუფლდე, — **გაჰყევი წითელ მოსკოვს, გაჰყევი დიდ სტალინს, გაჰყევი რუს ხალხს!**

ამხ. **კუზნეცოვმა** (ლენინგრადი) თავისი სიტყვა მიუძღვნა ლენინგრადის მრეწველობას.

— ცხოვრებამ და ფაქტებმა გააცამტვერეს მტრების თეორია იმის შესახებ, რომ ლენინგრადში ამოწურულია საწარმოთა საწარმოო შესაძლებლობანი, რომ, თითქოს, ლენინგრადის მრეწველობას დახშული აქვს ყველა გზა.

ბოლშევიკების ნება-სურვილით, მშრომელთა ნება-სურვილით ლენინგრადის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა მეორე ხუთწლედის გეგ-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

11 მარტი, საღამოს სხდომა

(დასასრული)

მა. ქალაქსა და ოლქში მზადდება მრეწველობის 11 მილიარდ მანეთზე მეტის პროდუქცია, რაც ძველი რუსეთის იმპერიის მრეწველობის მთელს პროდუქციას უდრის. ლენინგრადში მეორე ხუთწლედის განმავლობაში ათვისებულ იქნა 200-ზე მეტი ახალი წარმოება, რამაც ახალი ტექნიკით გაამდიდრა მრეწველობა.

ლენინგრადის ბოლშევიკები სწორად ახამებდნენ პოლიტიკას და მეურნეობას. წარმოების ტექნიკის მცოდნე ახალმა პარტიულმა კადრებმა წარმატებით მოაწყეს პარტიული ორგანიზაციების კონტროლი წარმოებაზე და ბრწყინვალედ გაართვეს თავი მეორე ხუთწლედში მრეწველობის გეგმის შესრულების ამოცანას.

ტრიბუნაზე ადის დნეპროპეტროვსკის ოლქის დელეგატი ამხ. **ზადიონჩენკო.**

იგი ლაპარაკობს სოციალისტური მიწათმოქმედების წარმატებებზე.

1938 წელს დნეპროპეტროვსკის ოლქის 3.727 კოლმეურნეობა აერთიანებს ყველა გლეხური კომლის 99,8 პროცენტს და სთესავს სათესი ფართობის 99,96 პროცენტს. შარშან არახელსაყრელი ამინდის პირობებში კოლმეურნეობებმა მარცვლეულის საშუალო მოსავალი აიღეს 11,4 ცენტნერი ჰექტარზე (4,2 ცენტნერი 1934 წელს). სახელმწიფოს მიჰყიდეს 20 მილიონ ფუთზე მეტი პური და 2 მილიონი ფუთი მზესუმზირა.

წლითი-წლობით იზრდება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი. 1938 წელს კოლმეურნეობათა შემოსავალი შეადგენდა 560 მილიონ მანეთს.

შემდეგ ამხ. ზადიონჩენკო ლაპარაკობს კოლმეურნეობების ხელმძღვანელობაზე, სოფლად პარტიული მუშაობის გაძლიერების საჭიროებაზე. კერძოდ იგი აყენებს პირველადი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების რიცხობრივად გაფართოებისა და განმტკიცების ამოცანას.

მქუხარე ტაშით ეგებება ყრილობა ორატორის განცხადებას იმის შესახებ, რომ პარტია XVIII ყრილობას შეხვდა ისე ერთიანი, ცენტრალური კომიტეტის გარშემო, პარტიის ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო ისე დარაზმული, როგორც არასოდეს.

სიტყვა ეძლევა აზერბაიჯანის დელეგატს ამხ. **ბაგიროვს.**

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მაგალითზე იგი ცხადჰყოფს, როგორ გადაიქცნენ დღეს სოციალიზმის აყვავებულ კერებად რუსეთის ყოფილი ჩამორჩენილი განაპირა მხარეები.

ნავთის ამოღებამ ბაქოში 1937 წელს მიაღწია 21,4 მილიონ ტონას, 1932 წელს კი იგი 12,2 მილიონ ტონას უდრიდა. ნავთის ამოღების ნამატი — 9,2 მილიონი ტონა ერთნახევარჯერ აღემატება რუმინეთში 1937 წელს ამოღებული ნავთის მთელს რაოდენობას. 1913 წელთან შედარებით ნავთის ამოღება გაიზარდა ერთისამად, გაზისა—69-ჯერ, ბენზინის გამომუშავება—48-ჯერ.

უდიდეს წარმატებებს მიაღწია აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობამ. 1937 წელს მოკრეფილ იქნა 2.080 ათასი ცენტნერი ბამბა (1.123 ათასი ცენტნერი 1932 წელს). უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში შრომადღის ღირებულება 3,7-ჯერ გაიზარდა.

რევოლუციამდე აზერბაიჯანში არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, არც ერთი სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება. ამჟამად მოქმედებს 80 უმაღლესი სასწავლებელი და ტექნიკუმი და 64 სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება. შეიქმნა და აღიზარდა საკუთარი ინტელიგენცია: 16.539 მასწავლებელი, 13.200 ინჟინერი, 2.459 ექიმი, 1.000 აგრონომი.

ხანგრძლივ ტაშს იწვევს ორატორის უკანასკნელი სიტყვები იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანელმა ხალხმა, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, იცის, რომ თავის ბედნიერ და სამურ ცხოვრებას იგი უნდა უმადლოდეს დიდი სტალინის გენიას.

შემდეგ კათედრაზე გამოდის როსტოვის ოლქის დელეგატი ამხ. **დვინსკი.** იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ დონის კოლმეურნე კაზაკები—სტალინის ერთგული შვილები—მზად არიან მთავრობისა და თავისი ბელადის ამხანაგ სტალინის პირველ დაძახებისთანავე შესხდნენ კოლმეურნეების მიერ გამოზრდილ დონურ ბედაურზე და სჩეხონ მტერი იქ, სადაც მათ მიუთითებს საბჭოთა ხელისუფლება, ბოლშევიკური პარტია და ამხანაგი სტალინი.

ამხ. დვინსკი კონკრეტული მაგალითებით გვიჩვენებს ინდუსტრიის ზრდას ოლქში და სოფლის მეურნეობის განმტკიცებას. დასასრულ იგი ჩერდება ზოგიერთ პრობლემაზე, რომლებსაც უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. მისი აზრით, ქვანახშირის ამოღება ოლქში შეიძლება მნიშვნელოვნად იქნას გაფართოებული. შემდეგ საჭიროა გადაიჭრას ვოლგა-დონის არხის საკითხი. დროა ეს საკითხი თეორიულ ძიებათა დარგიდან პრაქტიკულ რელსებზე გადავიყვანოთ.

მქუხარე ტაშით, ფეხზე ამდგარნი მიესალმებიან დელეგატები ამხანაგ სტალინს, როდესაც ორატორი ამბობს, რომ როსტოვის ოლქის 57 ათასმა ბოლშევიკმა პარტიის XVIII ყრილობის თავის 48 დელეგატს მისცა ერთი მანდატი—ხმა მისცენ სტალინურ პოლიტიკას, სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს, კომუნიზმისათვის ჩვენი ბრძოლის სულისჩამდგმელს—ამხანაგ სტალინს.

ამხ. **ვლასოვი** (სარატოვი) აღნიშნავს იმ უდიდეს მზრუნველობას, რომელსაც პარტია და მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი იჩენენ სამხრეთ-აღმოსავლეთის გვალვიანი რაიონების სოფლის მეურნეობის საჭიროებებზე. სარატოვის ბოლშევიკები რაზმავენ კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა უფართოეს მასებს იმისათვის, რომ საბოლოოდ დასძლიონ გვალვის დამღუპველი შედეგები და უზრუნველჰყონ მაღალი და მტკიცე მოსავლის მიღება.

ამხ. **კულაკოვი** (კრასნოიარსკი) ლაპარაკობს იმ დიდ შემოქმედებით აღფრთოვანებაზე, რომელმაც მხარის მშრომელები მოიცვა. ზაპოლარიეში აშენებულია საუცხოო ქალაქი იგარკა. წარმოიშვა ახალი ქარხნები. კრასნოიარსკის მხარის სოფლის მეურნეობა შეიარაღებულია უმდიდრესი სამანქანო ტექნიკით. შექმნილია 102 სამანქანო-სატრაქტორო სადგური, რომლებსაც 5 ათასი ტრაქტორისაგან შემდგარი პარკი აქვთ.

გამოიზარდნენ ახალი შესანიშნავი კადრები. მარტო უკანასკნელი წლის განმავლობაში ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურებულია 2.500 კაცი.

11 მარტის საღამოს სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა ამხ. **კვასოვი** (ვოროშილოვგრადის ოლქი). მან ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც ვოროშილოვგრადის პარტიულმა ორგანიზაციამ ჩაატარა ჯაშუშთა, დივერსანტთა, მავნებელთა ტროცკისტულ-ბუხარინული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ბუდეების გამომჟღავნებისა და მოსპობისათვის.

შემდეგ ამხ. კვასოვს მოჰყავს საინტერესო ფაქტები დონბასის მაღაროელებს შორის ახალი შესანიშნავი კადრების—ქვანახშირის მაღალი ამოღების ოსტატთა ზრდის შესახებ. თუ 1935 წელს ოლქის მაღაროებში იყო ქვანახშირის მაღალი ამოღების 3.329 ოსტატი, ახლა მათი რიცხვი 14.311 კაცს უდრის. შახტ „ცენტრალნოე ირმინოს“ ყოფილი მნგრეველი ამხ. დიუკანოვი ამჟამად უდიდეს კომბინატს — „ვოროშილოვგრადუგოლს“ ხელმძღვანელობს. ყოფილი მნგრეველი ამხ. მოლოსტოვი ტრესტ „ბოკოვოანტრაციტს“ ხელმძღვანელობს.

ამხ. კვასოვის გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარემ ამხ. ჟდანოვმა გამოაცხადა, რომ სხდომა სწყდება 12 მარტის დილის 11 საათამდე.

(საკდესი).

12 მარტი, დილის სხდომა

დილის 11 საათისათვის დარბაზი სავსე იყო. პრეზიდიუმში ამხანაგების სტალინის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, ანდრეევის, მიქოიანის, ჟდანოვის, ბუდიონის გამოჩენას დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება. გაისმის შეძახილები: „ვაშა ამხანაგ სტალინს!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“.

თავმჯდომარე ამხ. ჟდანოვი ყრილობის სხდომას გახსნილად აცხადებს.

პირველად სიტყვა ეძლევა ამხ. სკვორცოვს (ყაზახეთი). ის ლაპარაკობს იმ გრანდიოზულ ცვლილებებზე, რაც მოხდა ყაზახეთის სს რესპუბლიკაში სტალინური ხუთწლედების მანძილზე.

ყაზახეთი, რომელიც რევოლუციამდე მეფის უუფლებო კოლონიას წარმოადგენდა, აყვავებულ ინდუსტრიულ - აგრარულ სოციალისტურ რესპუბლიკად იქცა. სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის საერთო ბალანსში 56,8 პროცენტამდე აღწევს. მდიდარია ყაზახეთის მიწა. მისი წიაღი სავსეა ძვირფასი მთა-მადნეულით. თუთიისა და ტყვიის მარაგის მხრივ ყაზახეთის რესპუბლიკას პირველი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირში. მაგრამ, ამხ. სკვორცოვი ყრილობის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ყაზახეთის წიაღის სიმდიდრენი ჯერ კიდევ არასაკმაოდ არის გამოყენებული.

ყაზახეთის მრეწველობის წინაშე დიდი ამოცანები დგას. უკვე აგებულია ბალხაშის სპილენძსადნობი კომბინატი, ჩიკმენტის ტყვიის ქარხანა და მრავალი სხვა საწარმო. საჭიროა კადრები, საჭიროა დიდი მუშაობა იმისათვის, რომ ეს საწარმოები მაქსიმუმ პროდუქციას იძლეოდნენ.

შემდეგ, ამხ. სკვორცოვი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ჩერდება. საქონლის სულადობა 1932 წლიდან გასულ პერიოდში ერთიორად და უფრო მეტადაც გაიზარდა. მარცვლეულ კულტურათა ნათესი ფართობი 1933 წლიდან 1938 წლამდე 25 პროცენტით გადიდდა. მოსავლიანობა ამავე ხნის განმავლობაში ერთიორად გაიზარდა.

განუწყვეტლივ იზრდება ყაზახი ხალხის კულტურა. თუ 1933 წელს ყაზახეთში კულტურულ საჭიროებებზე 78 მილიონი მანეთი დაიხარჯა, ახლა ეს ხარჯები 600 მილიონ მანეთამდე გაიზარდა.

დასასრულ, ამხ. სკვორცოვი ამბობს, რომ აუცილებელია კავშირგაბმულობის ყოველნაირად განვითარება ყაზახეთში. რესპუბლიკის სივრცეები უსაზღვროა. კავშირგაბმულობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის, ამავე დროს კი ყაზახეთში 120 რაიონს ჯერ კიდევ არა აქვს სატელეფონო კავშირი საოლქო ცენტრებთან.

ამხ. სკვორცოვის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარე ამხ. ჟდანოვი სიტყვას აძლევს ამხ. ანდრეევს. ყრილობის დელეგატები, ფეხზე ამდგარნი, გულმხურვალედ მიესალმნენ ამხანაგ სტალინის ერთგულ თანამებრძოლს — ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევს.

ამხ. ანდრეევის ვრცელი და შინაარსიანი სიტყვა ყრილობამ დაძაბული ყურადღებით მოისმინა.

ამხ. ანდრეევი ლაპარაკობს იმ უდიდეს ორგანიზაციულ მუშაობაზე, რომელიც შეასრულა პარტიამ უკანასკნელ წლებში, კერძოდ, კადრების მომზადების დარგში. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის უმაღლესმა სასწავლებლებმა და ტექნიკუმებმა 1 მილიონ 225 ათასზე მეტი სპეციალისტი გამოუშვეს. შექმნილია 930 ახალი უმაღლესი სასწავლებელი და ტექნიკუმი. სოფლად მომზადებულ და გადამზადებულ იქნა 1.500 ათასი ტრაქტორისტი და კომბაინერი. სსრ კავშირის პროფკავშირთა წევრების რიცხვი გადიდდა 4.700 ათასი კაცით, ხოლო კომკავშირის წევრთა რიცხვი—3 მილიონი კაცით.

ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევდა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებამ პარტიას ხელთ მისცა მარქსისტულ - ლენინური თეორიის წარმატებით დაუფლების ახალი ძლიერი იარაღი.

ანალიზს უკეთებს რა კადრების შემადგენლობაში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე მომხდარ ხარისხობრივ ცვლილებებს, ამხ. ანდრეევი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს ამჟამად ზოგადი განათლების მაღალი დონე აქვთ. ოლქკომების მდივნებს შორის 28 პროცენტზე მეტი უმაღლესი განათლებით არის, 30 პროცენტი—დაუმთავრებელი უმაღლესი ან საშუალო განათლებით.

მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობა გაწმენდილ იქნა პოლიტიკური და საქმიანი მხრივ გაკოტრებული ადამიანებისაგან, ჩვენს პარტიულ სახლში ჰაერი უფრო წმინდა და სუფთა გახდა,— ამბობს ამხ. ანდრეევი. ჩვენ პარტიული კადრების საუცხოო ფონდი მოგვეპოვება. ზოგიერთ მათგანს, შესაძლოა, ჯერ კიდევ არა აქვს საკმაო გამოცდილება, მაგრამ ეს, უეჭველია, შეძენილი იქნება.

შემდეგ ამხ. ანდრეევი აღნიშნავს, რომ ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა ცალმხრივობას, გატაცებული იყვნენ ან მარტო პარტიული მუშაობით, ან მარტო სამეურნეო მუშაობით.

ვერ იჩენდნენ იმის უნარს, რომ შეეხამებინათ პარტიული მუშაობა სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლასთან.

შემდეგ ამხ. ანდრეევი ჩერდება პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებზე. პარტიული ხელმძღვანელობა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მიმართ დიდ გაუმჯობესებას საჭიროებს. პარტიული მუშაობის დონე სოფლის ორგანიზაციებში ჩამორჩება იმ ამოცანებს, რომლებიც სოციალისტურ მიწათმოქმედების წინაშე დგას.

ზოგიერთ რესპუბლიკასა და ოლქში (ბელორუსია, პერმის ოლქი, ვოლოგდის ოლქი) სოფლად ცოტაა პარტიული ორგანიზაციები. ასე, მაგალითად, ბელორუსიის სს რესპუბლიკის 9.000-ზე მეტ კოლმეურნეობაზე სულ მხოლოდ 44 პირველადი პარტიული ორგანიზაცია მოდის.

თავისი სიტყვის დასკვნით ნაწილში ამხ. ანდრეევმა სოფლის მეურნეობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები დასვა. ამხ. ანდრეევი ლაპარაკობს სოფლის მეურნეობის იმ მოწინავე მუშაკთა შესანიშნავ მუშაობაზე, რომელნიც იბრძვიან უხვი მოსავლისათვის, და ყრილობის ყურადღებას მიაქცევს იმას, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას გვალვასთან ბრძოლის შესახებ.

ყრილობამ ამხ. ანდრეევის სიტყვას მთელი დარბაზის მქუხარე ოვაციებით უპასუხა.

ამხ. პონომარენკომ (ბელორუსია) ყრილობას მოუთხრო იმ დიდ წარმატებებზე, რომლებიც ბელორუსიის სს რესპუბლიკამ მოიპოვა. მეფის დროის ღატაკი და უუფლებო განაპირა კუთხე—ბელორუსია სოციალიზმის მტკიცე, ურყევ ფორპოსტად, აყვავებულ საბჭოთა რესპუბლიკად გადაიქცა. მეორე ხუთწლედის მანძილზე ბელორუსიაში აგებული და ათვისებულია 1.700 ახალი საწარმო. ამოღება ტორფისა, რომელიც დიდ როლს ასრულებს ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საერთო ბალანსში, 1913 წლის 14 ათასი ტონიდან 1938 წელს 2,5 მილიონ ტონამდე გაიზარდა. ბელორუსიის ყველა გლეხურ მეურნეობათა 91 პროცენტი გაერთიანებულია კოლმეურნეობებში. იზრდება ბელორუსიის გლეხის მატერიალური დონე. 1932 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გაიზარდა 49 პროცენტით, ღორებისა—104 პროცენტით, ცხვრებისა და თხებისა — 43 პროცენტით.

შობადობის მაღალი ციფრები და სიკვდილიანობის მკვეთრად შემცირება ნათლად მოწმობს ბელორუსი ხალხის კეთილდღეობას. უკანასკნელი ორი ხუთწლედის განმავლობაში ბელორუსიის სს რესპუბლიკის მოსახლეობა 1 მილიონ 200 ათას კაცით ე. ი. 25 პროცენტით გაიზარდა.

ამხ. პონომარენკო ლაპარაკობს იმაზე, რომ ბელორუსიაში ადგილი ჰქონდა კაპიტალისტური გარემოცვის არასათანადო შეფასებას, ადგილი ჰქონდა ერთგვარ თვითდამშვიდებულობას, რის შედეგადაც მტრული ელემენტები ერთხანს ახერხებდნენ გაეწიათ თავიანთი მავნებლური მუშაობა.

შემდეგ ამხ. პონომარენკო ლაპარაკობს იმაზე, რომ რესპუბლიკის სიახლოვე საზღვართან განსაკუთრებით ავალებს ბელორუსიის კომუნისტებს გამოიჩინონ სიფხიზლე.

ამხ. ზახაროვმა (საკ. ალკკ ც. კ.) ყრილობას მოუთხრო კომკავშირის ზრდაზე, საბჭოთა ახალგაზრდობის საუცხოო ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორ ეუფლება ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა ცოდნას, კულტურას, ცხოვრების გამოცდილებას.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ლენინურ-სტალინურ კომკავშირს თავის რიგებში ჰყავს 8 მილიონი კაცი, აქედან 2,5 მილიონი ქალია. XVII ყრილობიდან XVIII ყრილობამდე განვლილი დროის მანძილზე პიონერთა რიცხვი 7 მილიონიდან 11 მილიონამდე გაიზარდა. კომკავშირის წარმატებანი მეტად თვალსაჩინოა, მაგრამ ეს წარმატებანი კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, რომ არა ყოფილიყო საზიზღარი მტრული მუშაობა ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშებისა და მავნებლებისა, რომელნიც შეპარული იყვნენ კომკავშირის ხელმძღვანელობაში და რომელნიც შედარებით მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ იყვნენ საბოლოოდ მხილებულნი.

ამხ. ზახაროვი ლაპარაკობს ახალ ადამიანთა დაწინაურებაზე, იმაზე, რომ ნაციონალურ რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში კომკავშირის ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგნენ ახალი, შემოწმებული ადამიანები, პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვროდ თავდადებული ადამიანები.

საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და ნაციონალურ რესპუბლიკათა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების 385 მდივნიდან 319 კაცი ახლად არის არჩეული, პირველად არის დაწინაურებული ხელმძღვანელ პოსტებზე.

ამხ. სედინმა (ივანოვო) ილაპარაკა იმ მაღალ აზრებზე, რომლებსაც შეიცავს ამხანაგ სტალინის მოხსენება, ილაპარაკა თეორიულ განზოგადებათა სიმდიდრესა და სიღრმეზე.

ამხ. სედინი ლაპარაკობს იმაზე, რომ ლენინის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის გამოცდილების გათვალისწინებით გაამდიდრა და განავითარა ლენინის საქმის დიდმა განმგრძობმა, მისმა საუკეთესო მოწაფემ—ამხანაგმა სტალინმა.

ამხ. სედინი თავის სიტყვაში შეჩერდა საბჭოთა ინტელიგენციის ზრდაზე. ივანოვოს ოლქში ამჟამად არის საშუალო და არასრული საშუალო სკოლის 15.000 მასწავლებელი, მათ შორის 4.000 კომკავშირელი და კომუნისტია, არის 1.115 ექიმი, 7.447 საშუალო სამედიცინო პერსონალი, 1.300 აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტერინარი ექიმი. ქ. ივანოვოს 11 უმაღლეს სასწავლებელსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობს 7.500 კაცი.

დასასრულ ამხ. სედინმა ილაპარაკა მრეწველობის წარმატებებზე და იმაზე, თუ როგორ იბრძვიან ივანოველი ბოლშევიკები იმისათვის, რომ თავისი ოლქი სამომხმარებლო ოლქის ნაცვლად მწარმოებელ ოლქად გადააქციონ.

ამხ. სედინის სიტყვით დამთავრდა 12 მარტის დილის სხდომა.

ამხ. ვლადიმირსკის საანგარიშო მოხსენება

ცენტრალური სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ

ჩვენი პარტიის წესდების თანახმად, პარტიის როგორც ცენტრალური, ისე საოლქო და სარაიონო სარევიზიო კომისიების ერთერთ ამოცანას წარმოადგენს პარტიის საფინანსო მეურნეობის სისტემატური შემოწმება.

საანგარიშო პერიოდში, 1934-დან 1938 წლამდე ჩათვლით, მთელი პარტიული მუშაობის აღმავლობასთან და ჩვენს ქვეყანაში ხელფასის ზრდასთან დაკავშირებით, პარტიის სალაროში საწევრო შენატანების სახით შემოსული ფულადი სახსრების საერთო თანხა წლითი-წლობით იზრდებოდა. თუ 1934 წელს შემოსულ თანხას 100-ად მივიღებთ, შემდგომ წლებში საწევრო შენატანთა შემოსვლის ზრდა შემდეგნაირად მიმდინარეობდა: 1935 წელს—125%, 1936 წელს—184%, 1937 წელს—234%, 1938 წელს—303%.

ამგვარად საანგარიშო პერიოდში საწევრო შენატანების სახით შემოსული თანხა ერთისამად გადიდდა.

საწევრო შენატანების გადახდა ჩვენი პარტიის წევრობის ერთერთი საწესდებო პირობაა. პარტიის თვითეული წევრი ვალდებულია მატერიალურად დაეხმაროს პარტიას. აქედან გამომდინარეობს საწევრო შენატანების მიღების სწორად დაყენებისა და ამ პარტიული მოვალეობის შესრულებისათვის რეგულარული ანგარიშგების დიდი **ორგანიზაციული მნიშვნელობა.**

საანგარიშო პერიოდში პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არაერთხელ მიუქცევია პარტიული ორგანიზაციების ყურადღება საწევრო შენატანების მიღებისა და მისი ანგარიშგების საქმის დაყენებაზე. როდესაც ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში საწევრო შენატანების განსაკუთრებულ ამკრებთა საშუალებით ბიუროკრატიული პრაქტიკა დაწესდა, ცენტრალურმა კომიტეტმა მიუთითა, რომ ამ სამუშაოს ასეთი გადანდობა ტექნიკური მუშაკებისათვის პარტიის წესდების უხეში დარღვევა იყო.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღადგინა წესი, რომლის მიხედვითაც პარტიის თვითეულმა წევრმა **პირადად უნდა შეიტანოს** საწევრო შენატანები პარტიულ კომიტეტში, ხოლო პარტიული კომიტეტის მდივანი, ან პარტორგი, სადაც ეს გათვალისწინებულია ინსტრუქციით, მოვალეა **პირადად მიიღოს** საწევრო შენატანები. ამით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ მუშაკებს მოაგონა ბოლშევიზმის ტრადიციები, როდესაც პარტიის საუკეთესო ორგანიზატორები პირადად ასრულებდნენ თავსამტვრევ ორგანიზაციულ სამუშაოს, სწავლობდნენ ორგანიზაციის შემადგენლობას, თვითონ ამოწმებდნენ პარტიული დოკუმენტების გაცემას, სწვდებოდნენ „პარტიული ტექნიკის“ ყველა დეტალს.

ასეთივე დიდი ყურადღება მიაქცია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აგრეთვე საწევრო შენატანთა ანგარიშგების დაყენების გაუმჯობესებას პარტიულ ორგანიზაციებში.

მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთი პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც საწევრო შენატანთა მიღებისა და მისი ანგარიშგების ვალდებულებათა შესრულებას ისე არ უდგებიან, როგორც ამას ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქცია მოითხოვს. ამ ინსტრუქციის თანახმად, პირველადი პარტორგანიზაციების პარტკომები მოვალენი არიან 3 თვეში ერთხელ განიხილონ და დაამტკიცონ მათს ორგანიზაციებში საწევრო შენატანთა შემოსვლის შედეგები.

პარტკომის სხდომაზე ანგარიშის დამტკიცება—ეს ფაქტიურად იმას ნიშნავს, რომ 3 თვეში ერთხელ შეამოწმო, თუ რამდენად ეთანხმება საწევრო შენატანთა მიღება მოცემული ორგანიზაციის წევრთა აღრიცხვას, მისი შემადგენლობის შესწავლას. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოავლინო მუშაობის სუსტი ადგილები, გამოარკვიო ორგანიზაციის ცალკეულ წევრთა მიერ საწევრო შენატანების არათავისდროზე გადახდის მიზეზები.

იქ, სადაც ეს კეთდება, არა მარტო აღწევენ პარტორგანიზაციის ყველა წევრის მიერ საწევრო შენატანების თავის დროზე გადახდას, არამედ ისეთი დამოკიდებულება იქმნება საწევრო შენატანების გადახდისადმი, როგორც **მთელი** პირველადი ორგანიზაციის დიდი, სერიოზული ორგანიზაციული მუშაობისადმი. იქ იმას სწავლობენ, რომ **ბოლშევიკურად** შესრულონ თავსამტვრევი ორგანიზაციული სამუშაო, ჩასწვდნენ პარტიული ტექნიკის ყველა დეტალს, სწავლობენ ისე მუშაობას, როგორც მუდამ მუშაობდნენ ჩვენი პარტიის საუკეთესო ორგანიზატორები, როგორც მუშაობს და გვასწავლის მუშაობას ამხანაგი სტალინი. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენი პარტიის საფინანსო მეურნეობა მუდამ იყო აგებული ცენტრალიზებულ ბიუჯეტზე: ე. ი. პარტიული სალაროს ერთიანობაზე და ცენტრალური კომიტეტის წინაშე ყველა ადგილობრივი ორგანიზაციის სავალდებულო საფინანსო ანგარიშგებაზე.

საანგარიშო პერიოდში 1934-დან 1938 წლამდე, მთელი პარტიული მუშაობის გაუმჯობესების შესაბამისად, მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებანი პარტიის საფინანსო მეურნეობის დაყენებაშიც.

გაუმჯობესდა პარტიის ბიუჯეტის აგების **ხარისხი,** მიღწეულია ბიუჯეტის აგების დიდი რეალურობა, მისი სიცოცხლის უნარიანობა.

მიღწეულია ფულადი და მატერიალური სახსრების ხარჯვის **კონტროლის უკეთ დაყენება** როგორც ცენტრალური კომიტეტის აპარატში, ისე ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებშიც.

პრაქტიკაში შემოღებულია სისტემა, რომლის მიხედვითაც ცენტრალური კომიტეტის საფინანსო ინსტრუქტორები ადგილებზე იწვევენ ანგარიშწარმოების ადგილობრივ მუშაკთა და ადგილობრივი სარევიზიო კომისიების წევრთა თათბირებს, რათა გააცნონ ისინი აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ბიუჯეტის შესრულებისადმი კონტროლის დაყენებას.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად განმტკიცდა საფინანსო მეურნეობა საოლქო კომიტეტებშიაც და სარაიონო კომიტეტებშიაც.

1939 წლიდან ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესა ანგარიშწარმოების მუშაკთა დამატებითი შტატები 1.600 რაიკომისათვის. ეს მნიშვნელოვნად გააადვილებს მუშაობას იმ მხრივ, რომ განმტკიცდეს საფინანსო დისციპლინა საოლქო კომიტეტებისა და სარაიონო კომიტეტების საფინანსო-საანგარიშო აპარატში.

საოლქო და სარაიონო სარევიზიო კომისიებმა უნდა აამაღლონ თავისი მუშაობის ხარისხი. საოლქო კომიტეტებისა და სარაიონო კომიტეტების საფინანსო მეურნეობის პერიოდულ რევიზიებთან ერთად ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული ინსტრუქციით მათ წინაშე დასახული იყო ახალი ამოცანები: ჯერ ერთი, ინსტრუქტაჟის მეთოდებისა და საფინანსო აპარატის ანგარიშგების შემოწმება, და, მეორე, საოლქო კომიტეტის მეურნეობის ამათუიმ ნაწილის დაყენების სერიოზულად შესწავლა და ნამდვილ ღონისძიებათა შემუშავება მისი გაუმჯობესებისათვის. ამან აამაღლა ზოგიერთი სარევიზიო კომისიის აქტივობა.

პარტიის XVII-დან XVIII ყრილობამდე განვლილი დროის მანძილზე ცენტრალური კომიტეტის საფინანსო-სამეურნეო აპარატის მუშაობის მდგომარეობის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ პარტიის საფინანსო მეურნეობის განმტკიცება მიმდინარეობდა მთელი პარტიული მუშაობის გაუმჯობესების საფუძველზე და ეკონომიის რეჟიმისა და შესრულების შემოწმების მოთხოვნების განუხრელად განხორციელების საფუძველზე. ფულადი სახსრების ხარჯვის შესახებ საბჭოთა კანონის მოთხოვნების მტკიცედ და ზუსტად შესრულებამ, ბუხჰალტერიის მხრივ კონტროლის გაძლიერებამ, სარევიზიო ორგანოების მონაწილეობამ და დახმარებამ, ოპერატიულ მუშაკთა მიერ შესრულების მუდმივმა სისტემატურმა შემოწმებამ, აპარატის მუშაკთა კულტურულმა ზრდამ,—ყოველივე ამან დახმარება გაგვიწია იმ მხრივ, რომ ცხოვრებაში გაგვეტარებინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს და ამხანაგ სტალინის მიერ მოცემული სახელმძღვანელო, მუშაობის ყველა დეტალის შემცველი მითითებანი. **(ტაში).**

ასრულებდნენ რა ცენტრალური კომიტეტის მითითებებს და ამხანაგ სტალინის მითითებებს ჩვენს პარტიულ მეურნეობაში სანიმუშო წესრიგის დამყარების შესახებ, იჩენდნენ რა ბოლშევიკურ დამოკიდებულებას პარტიული ტექნიკისადმი, პარტიულმა მუშაკებმა საანგარიშო პერიოდში დიდ შედეგებს მიაღწიეს პარტიული აპარატის დეფექტების აღმოფხვრისა და მთლიანად პარტიული მეურნეობის დაყენების საქმეში.

შევჩერდები პარტიული აპარატის მუშაობის მხოლოდ ორ ისეთს გაუმჯობესებაზე, რაც **ყველა** პარტიულმა ორგანიზაციამ ჩაატარა საანგარიშო პერიოდში **ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით (ტაში):** პირველი, ეს არის პარტიის წევრთა და კანდიდატთა აღრიცხვის გაუმჯობესება და, მეორე, პარტიული დოკუმენტების შენახვის გაუმჯობესება.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი მუდამ განსაკუთრებით სერიოზულ ყურადღებას აქცევდა ორგანიზაციულ პარტიულ ტექნიკას, კერძოდ, პარტიის წევრთა აღრიცხვას. პარტიის წევრთა აღრიცხვა ეს უბრალო ტექნიკური საქმე როდია, ეს პარტიული ძალების სწორად განაწილებისა და პარტიული კადრების წარმატებით გამოზრდის ერთერთი პირობაა. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გააუმჯობესა კომუნისტთა აღრიცხვის წესი. ახლა აღრიცხვა პარტიული ორგანიზაციების თვით ხელმძღვანელთა ყოველდღიური საქმე გახდა, ეს საქმე თავმოყრილია რაიკომებში, და რაიკომების მდივნები, რომლებსაც მუშაობისათვის პირადი პასუხისმგებლობა აწევთ, უშუალოდ თვითონ ასრულებენ პარტიული აღრიცხვის ყველა უმნიშვნელოვანეს დეტალს.

აღრიცხვის სისტემას საფუძვლად უდევს **დოკუმენტი — სააღრიცხვო** ბარათი, რომელსაც იგივე ერთიანი ნომერი აქვს, რაც პარტიულ ბილეთს. **და ამ სააღრიცხვო ბარათს პარტიული დოკუმენტის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც პარტიულ ბილეთს.** იგი თავის დროზე ასახავს კომუნისტის მუშაობაში მომხდარ ყველა ცვლილებას, რაც ყოველთვის არ იყო უზრუნველყოფილი აღრიცხვის წინანდელი ფორმის დროს. ამგვარად, აღრიცხვა ახლა გვიჩვენებს არა მარტო იმას, თუ **სად** მუშაობს ესათუის პარტიელი არამედ იმასაც თუ **როგორ** მუშაობს იგი, სწორად არის თუ არა იგი გამოყენებული **სამუშაოზე.**

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გაუმჯობესება აღრიცხვის დაყენებაში: პარტიული კადრების **სტატისტიკური აღრიცხვის** მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. იგი აყვანილია პარტიული სტატისტიკის მეცნიერული დამუშავების სიმაღლეზე, ურომლისოდაც შეუძლებელია აღრიცხვის მონაცემებით ოპერირება, აღრიცხვისა, რომელიც ათი და ასიათასობით კაცს მოიცავს.

პარტიული დოკუმენტების შენახვა პარტიულ ორგანიზაციებში. თვითეულისათვის ნათელია, რომ არ შეიძლება ისეთი უწესრიგობის მოთმენა, როდესაც საოლქო კომიტეტის, სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებანი, რაიკომის ბეჭედი რაიკომის მდივნის მაგიდის უჯრაში ინახებოდა. ეს უკვე აღმოფხვრილია, მაგრამ ჯერ კიდევ ყველა ორგანიზაციაში როდია შემოღებული ის პრაქტიკა, რომელიც სავსებით უზრუნველჰყოფდა ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის დეკემბრის პლენუმის მოთხოვნილების შესრულებას. ამ პლენუმმა პარტიული აპარატის პასუხისმგებელ მუშაკებს დაავალა უშუალოდ **პირადად შეამოწმონ პარტიული დოკუმენტების შენახვა.**

რაც შეეხება ცენტრალური კომიტეტის აპარატში პარტიული მეურნეობის დაყენებას, აქ მე დავკმაყოფილდები იმის განცხადებით, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და განყოფილებებში პარტიული მეურნეობის მდგომარეობასთან ცენტრალური სარევიზიო კომისიის გაცნობამ დაგვანახვა, რომ ამ საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და მუდამ აქცევენ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანოები.

ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში დადგენილი წესი ნიმუშად უნდა გადაიქცეს ყველა პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული მეურნეობის დაყენებისათვის.

რაც შეეხება ცენტრალურ სარევიზიო კომისიის მიერ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებში საქმეთა მსვლელობის სისწრაფისა და სისწორის შემოწმებას, შევჩერდები მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის აპარატის ერთ ნაწილზე, რომელსაც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მხრივ მუდამ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

მხედველობაში მაქვს იმ წერილების, წინადადებათა, საჩივრების გარჩევა, რომლებსაც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ჰგზავნიან პარტიის ცალკეული წევრები და უპარტიო მოქალაქენი. ამ მუშაობაში აპარატის მოწესრიგებულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აქ მუშაობის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მტკიცედ სრულდება ამხანაგ სტალინის მითითებანი იმის შესახებ, რომ საჭიროა ბოლო მოვუღოთ ადამიანებისადმი ფორმალურ, უსულგულო-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, რაც უცხოა ბოლშევიკებისათვის.

ამ მცირე (ათიოდე კაცი) აპარატის არაერთხელ შემოწმებამ დაგვანახვა, რომ ეს აპარატი, რომელიც წერილებს არჩევს და კონტროლს უწევს ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ წერილების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, განსხვავდება განსაკუთრებული სიზუსტით, შეუპოვრობით შესრულების შემოწმებაში და ადამიანებისადმი ყურადღებიანი მოპყრობით.

გულმოდგინედ ხდება თვითეული მიღებული წერილის, ცნობის, საჩივრის გაფორმება. არის ბარათი, სადაც აღნიშნულია, თუ რა გაკეთდა ამ საქმის გარშემო, როგორ და ვის მიერ არის შესრულებული. ეს უზრუნველჰყოფს იმას, რომ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილი არც ერთი წერილი, არცერთი მიმართვა არ დარჩება უყურადღებოდ, გაურჩევლად. ამას გარდა, ეს წესი უზრუნველჰყოფს თვით ამ პატარა აპარატის მუშაობის შემოწმებასაც.

ამ წერილების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება ევალება პასუხისმგებელ მუშაკებს, როგორც მაგალითად: ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებს, საოლქო კომიტეტების მდივნებს, რაიკომების მდივნებს, საბჭოთა სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელებს. იყო შემთხვევები, როდესაც ცენტრალურმა კომიტეტმა დისციპლინარულ პასუხისგებაში მისცა და სამუშაოდანაც კი მოხსნა მიცემული დავალებისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისათვის.

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი დაწესებულია გულმოდგინე კონტროლი. ზოგიერთ საქმეს განსაკუთრებული კონტროლი ეწევა და მისი შემოწმება ხდება ყოველდღე, ორი დღის შემდეგ, ზოგიერთისა კი—უფრო ხანგრძლივი ვადის შემდეგ. მაგრამ ყველა შემთხვევაში კონტროლი მიმდინარეობს მანამდე, სანამ არ იქნება მიღებული პასუხი გატარებული ღონისძიებათა შესახებ იმ დაწესებულებისაგან, რომელსაც დავალება მიეცა, ან იმ პირისაგან, რომელმაც ამ თხოვნით მიჰმართა ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს. ზოგიერთ შემთხვევაში, საქმის ხასიათის მიხედვით, ინსტრუქტორებიც კი იგზავნებიან ადგილებზე.

იმ პირს, რომელმაც ცენტრალურ კომიტეტს მიჰმართა ამათუიმ საქმეზე, მუდამ აქვს საშუალება გაიგოს, თუ სად გაიგზავნა მისი თხოვნა ან საჩივარი და პირადად მიჰმართოს იმ დაწესებულებას, რომელსაც მისი წერილი გადაეგზავნა. ასეთი ცნობები ეძლევათ ან ტელეფონით, ან ფოსტით.

ცენტრალური კომიტეტის მთელი აპარატის მუშაობის მაგალითის მიხედვით შეუძლია ისწავლოს და კიდეც უნდა ისწავლოს ყველა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ და დაწესებულებამ, ისწავლოს ბოლშევიკურად მუშაობა, როგორც ჩვენ ყველას გვასწავლიდა მუშაობას ამხანაგი ლენინი, როგორც გვასწავლის ჩვენ მუშაობას ამხანაგი სტალინი **(მქუხარე ტაში),** გვასწავლის მითითებებითა და რჩევა-დარიგებით და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ძვირფასია, გვასწავლის თავისი მუდმივი პირადი მაგალითით.

ამხანაგებო, ჩვენი პარტია, ლენინ-სტალინის პარტია, ბრძოლებში გამობრძმედილი და გამარჯვების დიდების შარავანდედით მოსილი, გაანადგურა რა ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინული და სხვა აგენტები, ყრილობას შეხვდა ისე დარაზმული და მძლავრი, როგორც არასოდეს.

გამოიზარდნენ ამხანაგ სტალინის მიერ აღზრდილი ახალი პარტიული კადრები, ბრძოლაში შემოწმებულნი და მუშაობაში ნაცადნი, კომუნიზმის საქმის უსაზღვროდ ერთგულნი.

მთელი ჩვენი პარტია, ჩვენ ყველანი—ძველი და ახალგაზრდა ბოლშევიკები, ერთსულოვნად მივდივართ წინ ჩვენი პარტიის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

მივდივართ ჩვენი სტალინის გარშემო შემჭიდროებული რიგებით, მივდივართ ახალი გამარჯვებისაკენ, კომუნიზმისაკენ. **(მქუხარე ტაში, რაც ოვაციაში გადადის. შეძახილები: „ვაშა“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე საკ. კ. პ. (ბ) დელეგაციისა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში

მომხსენებელი ამხ. დ. მანუილსკი

I. ცვლილებანი საერთაშორისო მდგომარეობაში

ამხანაგებო!

საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობიდან XVIII ყრილობამდე გასული ხუთწლედის განმავლობაში კლასების, ხალხებისა და სახელმწიფოთა ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებანი, რომლებიც ჰმოწმობენ კაპიტალისტური სისტემის ყველა წინააღმდეგობის გამწვავებასა და უფსკრულის გაღრმავებას სოციალიზმის სამყაროსა და კაპიტალიზმის სამყაროს შორის.

თავისი ისტორიული მოხსენებით, რომელსაც მოუთმენლად მოელოდნენ პარტია, ჩვენი ქვეყნის მშრომელები, სსრ კავშირის ყველა მეგობარი და ყველა მტერი, ამხანაგმა სტალინმა შეიტანა უძვირფასესი განძი მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში სახელმწიფოს შესახებ, მოგვცა საერთაშორისო მდგომარეობის შეუდარებელი სიღრმის მარქსისტული ანალიზი, ამომწურავად შეაჯამა შედეგები ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განვითარებისა, გადაგვიშალა გრანდიოზული პერსპექტივები, რომლებიც ისახება საბჭოთა ხალხის წინაშე მის სოციალისტურ გამარჯვებათა შედეგად. ამხანაგმა სტალინმა დაგვანახვა, თუ რა გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ სსრ კავშირმა, გადასწყვიტა რა პროლეტარიატის დიქტატურის ყველაზე უფრო ძნელი ამოცანა — ექსპლუატატორულ კლასთა საბოლოო ლიკვიდაცია და მილიონობით ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა სოციალიზმის სისტემაში ჩაბმა. მან დაგვანახვა, თუ როგორ განუხრელად იზრდებოდა ამ წლებში სოციალისტური სახალხო მეურნეობა, მაღლდებოდა მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე, როგორ დუღაბდებოდა სსრ კავშირში მოსახლე ხალხთა ძმობა, როგორ იფურჩქნებოდა სოციალისტური დემოკრატია საბჭოთა ქვეყანაში, როგორ მტკიცდებოდა საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობა, როგორ იზრდებოდა საბჭოთა ქვეყნის ძლიერება და თავდაცვის უნარიანობა. **(ტაში).**

ამხანაგმა სტალინმა დაგვანახვა, თუ სსრ კავშირის ბრძნული სამშვიდობო პოლიტიკა, შეხამებული საბჭოთა ქვეყნის საზღვრების დაცვის საქმეში გამოჩენილ სიმტკიცესთან, ჯაშუშებისა და ომის გამჩაღებლების ტროცკისტ-ბუხარინელი ბანდის შეუბრალებელ განადგურებასთან, როგორ შეესაბამებოდა არა მარტო საბჭოთა ხალხის ინტერესებს, არამედ მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებსაც, ყველა ქვეყნის ხალხთა ინტერესებსაც.

ამხანაგ სტალინის მოხსენება არის ისტორიული მიჯნა, რომელიც მოასწავებს სსრ კავშირის განვითარების ახალ სტადიაში შესვლას, უკლასო საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის სტადიაში შესვლას. და სსრ კავშირის ეს უდიდესი გამარჯვება, რაც საყოველთაო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს, აძლიერებს მშრომელთა მასების გარევოლუციურებას კაპიტალისტურ ქვეყნებში, მსოფლიო რეაქციას შიში იპყრობს იმ ქვეყნის წინაშე, რომელიც, კაპიტალისტური გარემოცვის ყოველგვარი მზაკვრობის მიუხედავად, ანხორციელებს მესამე სტალინურ ხუთწლედს, რაც ნიშნავს ახალ გიგანტურ ნაბიჯს კომუნიზმის სრული გამარჯვების გზაზე.

რა მოხდა გასულ ხუთწლედში კაპიტალისტურ მსოფლიოში?

XVII პარტიულ ყრილობაზე ამხანაგი სტალინი, ანალიზს უკეთებდა რა კაპიტალისტური მეურნეობის მდგომარეობას, ამბობდა, რომ 1929-1933 წლების კრიზისის შემდეგ დაწყებული დეპრესია, იქნება არა ჩვეულებრივი დეპრესია, არამედ „განსაკუთრებული სახის“ დეპრესია. ამხანაგი სტალინი, ახასიათებდა რა საერთაშორისო მდგომარეობას, ამბობდა, რომ იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავებამ უკვე შექმნა ნიადაგი საომარი შეტაკებებისათვის, რომ საქმე აშკარად ახალი იმპერიალისტური ომისაკენ იხრება. ამხანაგი სტალინის ეს ანალიზი სავსებით და მთლიანად დადასტურდა.

კაპიტალისტური წარმოების დონე, რომელმაც 1932 წლის უაღრესი დაცემის შემდეგ თავის ყველაზე მაღალ წერტილს 1937 წლის შუახანებში მიაღწია, 1938 წ. კვლავ დაეცა 91 პროცენტამდე 1929 წლის დონესთან შედარებით. 1929 წლიდან 1937 წლამდე წარმოება სულ 3,5 პროცენტით გაიზარდა მაშინ, როცა წარმოების ზრდა 1921-29 წლების ეკონომიური ციკლის განმავლობაში 49,5 პროცენტს უდრიდა. ეს იმას ჰმოწმობს, რომ დეპრესია, რომელიც 1929-33 წლების კრიზისის შემდეგ დაიწყო, მართლაც განსაკუთრებული სახის დეპრესია იყო, რომელსაც შემდეგ არ მოჰყოლია არც საერთო აღმავლობა და არც მრეწველობის გაფურჩქვნა.

გასული ხუთწლედის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა მშრომელთა მასების მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში. კაპიტალი გააფთრებით უტევს მშრომელთა საარსებო დონეს, განსაკუთრებით ფაშისტური დიქტატურის ქვეყნებში. ხდება ხელფასის მკვეთრი შემცირება და სამუშაო დღის გადიდება. მაგალითად, გერმანიაში მიუხედავად იმისა, რომ კვების ძირითად პროდუქტთა საცალო ფასებმა ძლიერ მოიმატა, ფაშისტური დიქტატურის დამყარების დროიდან აკრძალულია ხელფასის ყოველნაირი გადიდება; ამავე დროს სხვადასხვა იძულებითი ანარიცხი ხელფასიდან, რასაც ფაშისტი ხელისუფალნი ახდენენ, 25-30 პროცენტს აღწევს. კანონით დაწესებულია 10-საათიანი სამუშაო დღე, ხოლო მრეწველობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან დარგებში, ესე იგი მთელ სამხედრო ინდუსტრიაში და საფორტიფიკაციო სამუშაოებზე 14-საათიანი სამუშაო დღე. ეგრეთწოდებულ „შრომითი ბეგარის“ ბანაკებში ასეული ათასობით ახალგაზრდობა მუშაობს წყალ-წყალა სალაფავის მისაღებად და 50 პფენიგად დღეში. ფაშისტურ იტალიაში ფაშისტური დიქტატურის განმავლობაში თითქმის ნახევრად შემცირდა მასების საარსებო დონე. აბისინიაში წარმოებული ომის დროიდან მკვეთრად მცირდება კვების ყველა ძირითადი პროდუქტის მოხმარება. იაპონიაში სამუშაო დღე 12-დან 16 საათამდე აღწევს, და 1929 წლის ლატაკური განაკვეთებიც კი შემცირებულ იქნა საშუალოდ 16 პროცენტზე უფრო მეტად, თუმცა ცხოვრების ღირებულება ამ ხნის განმავლობაში 30-40 პროცენტით გადიდდა.

უმუშევართა რიცხვი გასული ხუთი წლის მანძილზე არასოდეს არ დაწეულა 14 მილიონზე დაბლა და 1938 წლის დასასრულისათვის უდრის 18 მილიონს, რომ არ ჩავთვალოთ უმუშევარ მოჯამაგირეთა უზარმაზარი, მრავალმილიონიანი არმია, არც ნაწილობრივ უმუშევრები, არც ისეთი ქვეყნების უმუშევრები, როგორიცაა ინდოეთი, ჩინეთი, სადაც კაპიტალისტური მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს.

აგრარული კრიზისი, რომელიც კვლავ მწვავდება, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, პოლონეთში, რუმინეთში, იუგოსლავიაში, უნგრეთში, აგრეთვე კოლონიებში, — იწვევს სოფლის კიდევ უფრო მეტად დაშლას ფენებად, პაუპერებად აქცევს მილიონობით გლეხებს. ამასთან ერთად მიმდინარეობს გაძლიერებული პროცესი ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის გაჩანაგებისა, განსაკუთრებით ფაშისტურ ქვეყნებში. აქ შთაინთქა ათეული ათასობით წვრილი სამრეწველო და სავაჭრო საწარმონი. იაპონიაში მარტო 1938 წელს, ნედლეულის ნაკლებობის გამო, დაიხურა 38.305 წვრილი საწარმო.

ეკონომიური კრიზისის, კაპიტალისტურ ქვეყანათა განვითარების არათანაბრობის და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავების შედეგად უკიდურესობამდე გამწვავდა ყველა წინათ არსებული წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის. გამწვავდა ბრძოლა საგარეო ბაზრებისათვის, გავლენის სფეროებისათვის, კოლონიებისათვის, მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის. არაჩვეულებრივად გამწვავდა ეს ბრძოლა ხმელთაშუა ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზში, ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში, მიმოსვლის ძირითად მსოფლიო გზებზე.

ფაშისტური სახელმწიფოები—გერმანია, იტალია და იაპონია—შეტევაზე გადავიდნენ საერთაშორისო სარბიელზე. ფაშისტი მმართველნი ფიქრობენ სხვა ხალხთა ძარცვით გამოასწორონ თავიანთი საქმეები, მოსპონ ფაშისტური რეჟიმის შინაური სიძნელეები, თავიდან აიცილონ მისი გაკოტრება. ფაშისტ მესვეურებს ესაჭიროებათ ომები, იმიტომ რომ მათ არ ძალუძთ შეასრულონ თავიანთი დემაგოგიური დაპირებანი მასებისადმი, რომლებიც მოითხოვენ არა ქვემეხებს, არამედ კარაქს, არა დრედნოუტებს, არამედ პურს. ომი მათთვის — ეს საშუალებაა, რათა ჩაახშონ მასების უკმაყოფილება და მორჩილებაში იყოლიონ ისინი. მათ ესაჭიროებათ ომები თავიანთი „პრესტიჟის“ შესანარჩუნებლად საკუთარ მომხრეთა თვალში.

ფაშისტი ავანტურისტები ისწრაფვიან შეტევაზე გადასვლას, იმიტომ რომ მათ ეშინიათ სახალხო ფრონტის მოძრაობის ზრდისა, ფაშისტური აგრესიისადმი ხალხთა წინააღმდეგობის ზრდისა, იმისა, რომ ხალხები გაერთიანდებიან და დაირაზმებიან ომის ფაშისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ფრონტად. ფაშისტ მმართველებს უნდათ დაასწრონ ხალხთა მასების დარაზმვას და ლახვარი ჩასცენ მათ უფრო ადრე, ვიდრე ისინი ფაშიზმისათვის წინააღმდეგობის გასაწევად გაერთიანდებოდნენ. ისინი ცდილობენ გასთიშონ ხალხები, დასთესონ მათ შორის შუღლი, რათა უფრო იოლად დაამარცხონ ისინი ნაწილ-ნაწილად. ფაშისტი მმართველები მოხერხებულად იყენებენ ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების მლიქვნელობას, ხდიან მათ თავიანთ ბოროტმოქმედებათა თანამონაწილეებად, ამით კიდევ უფრო უტეხენ სახელს და არცხვენენ მათ, ცდილობენ რა ასეთი თაღლითური მანევრით თავიდან მოიშორონ მასების აღშფოთება.

ფაშისტი მმართველები ისწრაფვიან გამოიყენონ სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიის შიში სოციალიზმისა და მუშათა კლასის წინაშე, რათა ამ ბურჟუაზიის დახმარებით თავს დაესხან მის საკუთარ ხალხს. თავიანთი დამპყრობლური მიზნების მისაღწევად ისინი მიმართავენ მოსყიდვას, მოტყუებას, შანტაჟსა და მუქარას. სანამ ისინი საოკუპაციო არმიებს სხვის ტერიტორიებს მიუსევდნენ, იქ გზავნიან თავიანთ ჯაშუშების არმიას. ისინი გზავნიან ჯაშუშებს ყველგან—ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთსა და სხვა სახელმწიფოებში. ისინი ასაზრდოებენ საფრანგეთში კაგულარების ბანდებს და მათი ხელით აწყობენ მთელ რიგ აფეთქებებს. ისინი რუმინეთში ჰქმნიან დივერსიულ ბანდებს, რომლებიც მთელ რიგ ტერორისტულ აქტებს ახდენენ, ისინი პოლონეთში ეწევიან ფართო გამხრწნელ მუშაობას და ამზადებენ მის განაწილებას; ბალტიკის მხარეში, ფინეთში, უნგრეთში, სლოვაკიაში, ბალკანეთში ისინი ადგენენ საიდუმლო შეიარაღებულ რაზმებს. ისინი ახდენენ შინაგან „ამბოხებათა“ ინსცენირებას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა არა მარტო ავსტრიაში, სუდეტის ოლქში, არამედ მექსიკასა, ბრაზილიასა და პერუშიც.

ფაშისტური აგრესიული ბლოკის აგენტები განსაკუთრებით ფართო ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიებში. ისინი ამბოხებას აწყობენ პალესტინაში, ჰქმნიან ნახევრადსამხედრო „ვოლონტიორთა ნაციონალურ კორპუსს“ ინდოეთში, აწყობენ ფაშისტურ სამხედრო ჯგუფებს სამხრეთ აფრიკაში, იარაღსა და ფულს აწვდიან ფეოდალებს არაბთა ქვეყნებში. მათ ყველგან შეაქვთ არევ-დარევა, რათა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გახრწნან და დაასუსტონ თავიანთი შესაძლო მოწინააღმდეგენი.

ფაშისტურ სახელმწიფოთა აგრესიული ბლოკი, რომელიც სხვებზე უფრო მეტად არის დაინტერესებული მსოფლიოს ახალი ძალდატანებითი გადანაწილებით, ახალ იმპერიალისტურ ომში ითრევს ხალხებს. 1935 წელს იტალია იჭრება აბისინიაში, 1936 წელს გერმანია და იტალია იწყებენ ინტერვენციას ესპანეთში, 1937 წელს იაპონიის სამხედრო ხროვა მანჯურიის დაპყრობის შემდეგ იწყებს ომს, რომლის მიზანია მთელი ჩინეთის ხელში ჩაგდება და ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის განდევნა ჩინეთიდან; 1938 წლის მარტში გერმანია ახდენს ავსტრიის ოკუპაციას, 1938 წლის სექტემბერში იგი ანაწილებს ჩეხოსლოვაკიას.

განა ეს შესაძლებელი იქნებოდა, სხვა უდიდესი სახელმწიფოების კაპიტალისტურ მთავრობებს რომ ხელი არ შეეწყოთ გერმანიისა და იტალიის ფაშიზმის და იაპონიის ფაშისტური სამხედრო ხროვის აგრესიისათვის? რასაკვირველია, არა. ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ფაშისტურ აგრესორთა ბლოკს ეხმარებოდნენ და ეხმარებიან მსოფლიო რეაქციის ძალები, საფრანგეთის და განსაკუთრებით ინგლისის ბურჟუაზიის რეაქციული ელემენტები. ეს ელემენტები ოცნებობენ იმაზე, რომ გერმანიის ფაშიზმი გამოიყენონ როგორც დამრტყმელი მუშტი რეაქციისა სსრ კავშირის წინააღმდეგ, გერმანიის ფაშიზმი გამოიყენონ, როგორც ჟანდარმი საერთაშორისო მუშათა კლასის, სახალხო ფრონტისა და დამონებული ხალხების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

ინგლისის რეაქციული ბურჟუაზიის გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ, მსხვერპლად შესწიროს რა გერმანიის ფაშიზმის საამებლად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მცირე სახელმწიფოები, გერმანია წარმართოს აღმოსავლეთისაკენ—სსრ კავშირის წინააღმდეგ, შეეცადოს ასეთი კონტრრევოლუციური ომით შეაჩეროს სოციალიზმის შემდგომი წარმატებანი და კომუნიზმის გამარჯვება სსრ კავშირში, რაიმე საზღაურით თავი დაიხსნას გერმანიის იმპერიალისტური ზრახვებისაგან ინგლისის კოლონიების მიმართ; ამავე დროს ინგლისის რეაქცია მოწადინებულია სსრ კავშირის ხელით კბილები ჩაუმტვრიოს გერმანიის იმპერიალიზმს, დაასუსტოს გერმანია მრავალი წლით და ინგლისის იმპერიალიზმს გაბატონებული მდგომარეობა შეუნარჩუნოს ევროპაში; მეორეც, ინგლისის რეაქცია მიისწრაფვის იქითკენ, რათა იტალიასთან ერთად **საფრანგეთის ხარჯზე** გაანაწილოს ესპანეთი და გავლენის სფეროები ხმელთაშუა ზღვაში, მიაღწიოს შეთანხმებას იტალიასთან, ევროპაში იმპერიალისტური „წონასწორობის“ მიზნით და მოსწყვიტოს იგი გერმანიასთან ბლოკს; მესამეც, შორეულ აღმოსავლეთში ინგლისის რეაქციონერები ოცნებობენ ჩინეთის განაწილებაზე, ისინი ახლა ნებას აძლევენ იაპონიას გააპარტახოს და დაასუსტოს ჩინეთი, მაგრამ ამავე დროს ხელს არ უშლიან იაპონიის სამხედრო და ეკონომიურ გამოფიტვას, რათა შემდეგ გამოვიდნენ არბიტრის როლში იმისათვის, რომ დაამყარონ „მიუნხენის მშვიდობიანობა“ შორეულ აღმოსავლეთში; მეოთხეც, ინგლისის რეაქციას არ სურს დაუშვას ფაშისტური რეჟიმის დამარცხება არც გერმანიაში, არც იტალიაში, არც იაპონიაში, მას სურს დაეხმაროს ამ ქვეყნების მთავრობებს თავი დააღწიონ ფინანსიურ გაკოტრებას მათთვის კრედიტების მიცემის გზით და ამით ამყოფოს ფაშისტური სახელმწიფოები ინგლისის იმპერიალიზმის ერთგვარ დამოკიდებულებაში.

ჯერ კიდევ 1927 წელს ამხანაგი სტალინი ამბობდა სტატიაში „შენიშვნები თანამედროვე თემებზე“:

> **„ინგლისის კაპიტალიზმი ყოველთვის იყო, არის და იქნება სახალხო რევოლუციების ყველაზე ბოროტი ჩამხშობი. XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთის დიდი რევოლუციით დაწყებული და ჩინეთის ახლანდელი რევოლუციით გათავებული, ინგლისის ბურჟუაზია ყოველთვის იდგა და კვლავ სდგას კაცობრიობის განმათავისუფლებელი მოძრაობის დამთრგუნველთა პირველ რიგებში.. მაგრამ ინგლისის ბურჟუაზიას არ უყვარს ომის წარმოება თავისი საკუთარი ხელით. იგი ყოველთვის ამჯობინებდა სხვისი ხელით ომს“.**

მაგრამ თავისი ავაზაკური გეგმებით ინგლისის რეაქციული ბურჟუაზია თვითონ ითხრის სამარეს. ჩინეთში იაპონიის აგრესიისათვის ფარული მხარდაჭერით ის ამზადებს ინგლისის განდევნას შორეული აღმოსავლეთიდან, იტალიის ფაშიზმისადმი დათმობებით—ინგლისის პოზიციების დაკარგვას ხმელთაშუა ზღვაში, ფაშისტი აგრესორებისათვის სესხების მიცემით იგი აძლიერებს მათს სამხედრო სიმძლავრეს და თავისი საკუთარი დამარცხების შანსებს. გერმანიის ფაშიზმის გამაგრებით იგი ამზადებს თავისი საკუთარი იმპერიის დანაწილებას, სსრ კავშირზე თავდასხმის გეგმებით იგი ამზადებს არა მარტო ფაშიზმის, არამედ აგრეთვე მთელი კაპიტალისტური სისტემის დამხობას. **(ტაში).**

მიუნხენის შეთანხმება წარმოადგენს პირველ სერიოზულ ცდას — საქმით გამოეყენებინათ ინგლისის რეაქციული ბურჟუაზიის ეს ვერაგული, მაგრამ უიმედო გეგმა. მიუნხენის რეაქციულმა შეთქმულებამ კაცობრიობას მშვიდობიანობა კი არ მოუტანეს, არამედ ახალი მსოფლიო იმპერიალისტური ომი მოაქვთ. მიუნხენში მათ ბოლო მოუღეს ევროპის იმ უნიათო „წონასწორობასაც“ კი, რომელიც რამდენადმე აკავებდა ფაშისტ აგრესორთა მტაცებლურ გეგმებს. გერმანიისა და იტალიის ზემოქმედებით საფრანგეთის რეაქციულმა ხროვებმა, რომელნიც კუდში მისჩანჩალებენ ინგლისის რეაქციას, საკუთარი ხელით მოუღეს ბოლო კავშირების იმ სისტემას, რაც მათ 1914-18 წლების მსოფლიო იმპერიალისტური ომის შემდეგ შექმნეს; ამითვე ისინი ამზადებენ საფრანგეთის გადაქცევას მეორე რანგის სახელმწიფოდ.

მიუნხენის შეთქმულებმა ბოლო მოუღეს კოლექტიური უშიშროების სისტემას და საბოლოოდ ჩამოაშორეს თვითონ მათ მიერ შექმნილი ერთა ლიგა ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრას. მათ ხელ-ფეხი გაუხსნეს აგრესორებს, რაკი იტალიის ფაშიზმს საშუალება მისცეს დაეკავებინა კატალონია, იაპონიის ფაშისტურ სამხედრო ხროვას—ხელთ ეგდო კანტონი და კუნძული ხაინანი, საფრთხე შეექმნა საფრანგეთისა და ინგლისის სამფლობელოებისათვის შორეულ-აღმოსავლეთში.

მიუნხენის „მშვიდობისმყოფელებმა“ გააძლიერეს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა გამალებული შეიარაღება. მიუნხენის შემდეგ ხდება შეიარაღების ახალი ნახტომი გერმანიაში, სადაც ფაშისტური დიქტატურის დროს სამხედრო ხარჯები უკვე გაიზარდა 32-ჯერ, იტალიაში, სადაც აბისინიაში ომის დროს ეს ხარჯები ოთხჯერ გაიზარდა; სამხედრო ხარჯები იაპონიაში 1936-37 წლებთან შედარებით იზრდება 5½-ჯერ და უფრო მეტად, ინგლისში — სამჯერ, საფრანგეთში — სამჯერ და კიდევ მეტად.

O

მაგრამ ფაშისტ მტაცებელთა იმპერიალისტური ზრახვები აწყდება ზოგიერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგობას, იმ ქვეყნების მმართველი კლასების მნიშვნელოვანი ნაწილის წინააღმდეგობას, რომელთა მთავრობები კაპიტულაციას ახდენენ ფაშისტი აგრესორების წინაშე. მსოფლიოს **უდიდესი კაპიტალისტური** სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები, იცავს რა თავის ინტერესებს ლათინური ამერიკის ქვეყნებში გერმანიის, იტალიისა და იაპონიის წინააღმდეგ, რომელნიც მიიწევენ და სწრაფად იჭრებიან იქ, იცავს რა თავის პოზიციებს ფილიპინებზე, ჩინეთსა და წყნარ ოკეანეში იაპონიის წინააღმდეგ, აყალიბებს სამხრეთ-ამერიკის სახელმწიფოებთან ბლოკს ფაშისტური ექსპანსიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად; ამითვე ამერიკის შეერთებული შტატები ააქტივებენ ფაშისტთა აგრესიული გეგმებისადმი წინააღმდეგობის გაწევას მსოფლიოს სხვა კუთხეებში, მათ შორის ევროპაშიც.

ინგლისში—შიში იმპერიის მთლიანობისათვის, რომელსაც გერმანიის ფაშიზმი ემუქრება, იმპერიალისტური წრეების ნაწილსაც კი, დაფ კუპერის, იდენის, ჩერჩილის ტიპის მოღვაწეებს, ახლანდელი კონსერვატიული მთავრობის ოპოზიციის ბანაკისაკენ ეწევა. გერმანიისა და იტალიის ფაშიზმის მტაცებლური ზრახვები აშინებს საფრანგეთის ბურჟუაზიის ნაწილს და აძლიერებს ფაშიზმისადმი წინააღმდეგობის გაწევის მომხრეთა პოზიციებს. პოლონეთში იზრდება შფოთვა გერმანიის მიერ მისი დანაწილების საფრთხის წინაშე. უნგრეთში ძლიერდება ოპოზიცია გერმანიის ფაშიზმის მიერ ამ ქვეყნის დამონების წინააღმდეგ.

ამავე დროს იზრდება ფაშისტი აგრესორების მიერ დამონებულ ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის ხალხთა მასების აღშფოთება, იზრდება იმ ხალხთა შეშფოთება, რომელთაც უშუალოდ ემუქრება ფაშისტური აგრესია ბალკანეთში. ძლიერდება მოძრაობა კოლონიებში, რომელთა ხალხებს არ სურთ, რომ ისინი ხორცად და ფულად გამოიყენონ იმპერიალისტ მტაცებელთა გარიგებების დროს. მწიფდებიან ნაციონალური ფრონტის ელემენტები მთელ რიგ ქვეყნებში, რომლებსაც ფაშისტთა შესევა ემუქრება.

O

ამრიგად, ამხანაგებო, განვლილ ხუთ წელში კიდევ უფრო გაღრმავდა უფსკრული გამარჯვებულ სოციალიზმსა და პარაზიტულად ხრწნად კაპიტალიზმს შორის. სსრ კავშირი მიდის მაღლა, უკლასო საზოგადოების მწვერვალებისაკენ, კომუნიზმისაკენ. კაპიტალისტური სამყარო მიექანება დაბლა, ეკონომიური კრიზისებისაკენ, რეაქციისაკენ, ომებისაკენ. ეს ნიშნავს, რომ გაღრმავდა კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისი. და რაც უფრო მეტად იხლართება კაპიტალიზმი თავის წინააღმდეგობებში, მით უფრო სასოწარკვეთილ ღონისძიებებს მიმართავს იგი, რათა შეეცადოს თავი დააღწიოს მდგომარეობას. აქედან წარმოსდგება მშრომელთა წინააღმდეგ კაპიტალის შეტევის გაძლიერება. ფაშისტური ტერორის გაძლიერება, ფაშიზმის გადასვლა შეტევაზე საერთაშორისო სარბიელზე, ახალი იმპერიალისტური ომი. აქედან წარმოსდგება სოციალიზმის ქვეყანაზე უცხოეთის სამხედრო თავდასხმის საფრთხის გამწვავებაც, სოციალიზმის ქვეყანაზე, რომლის მნიშვნელობა, **როგორც მშვიდობიანობის დასაყრდენისა, როგორც იმპერიალისტური დაპყრობებისა და ომებისათვის წინააღმდეგობის გაწევის დასაყრდენისა, უაღრესად იზრდება კაპიტალისტური ქვეყნების მილიონობით მშრომელთა შეგნებაში.**

II. კომპარტიების ბრძოლა ერთიანი და სახალხო ფრონტისათვის

იმდენად, რამდენადაც ცალკეულ ქვეყნებში და საერთაშორისო ასპარეზზე ფაშიზმი შეტევაზე გადადის, იმდენადვე ფართოვდება და სულ უფრო-და-უფრო საერთაშორისო ხასიათს იღებს ანტიფაშისტური მოძრაობა. XVII-დან XVIII ყრილობამდე განვლილი ხუთი წელი აღსავსეა მშრომელთა დიდი ანტიფაშისტური ბრძოლებით. ეს არის შრომის მძლავრი ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ, პროგრესის ძალთა ბრძოლა რეაქციის ბნელ ძალთა წინააღმდეგ. ეს არის ხანა კომპარტიების ბრძოლისა მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობისათვის, პროფმოძრაობის ერთიანობისათვის, ანტიფაშისტური სახალხო ფრონტისათვის. ეს არის სახალხო ფრონტის შექმნა საფრანგეთში. ეს არის დემოკრატიული მოძრაობის გაშლა ამერიკის კონტინენტზე (ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში). ეს არის მთელ რიგ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ნაციონალური ფრონტის შექმნისა და გაფართოების პერიოდი. ეს არის — **უწინარეს ყოვლისა ესპანეთის გმირული ხალხის ნაციონალურ-რევოლუციური ომი, ეს არის ჩინეთის დიადი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომი შესეული იმპერიალისტი მტაცებლების წინააღმდეგ.**

თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, თუ როგორ იყო, რომ მას შემდეგ, რაც გერმანიაში 1933 წელს ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ფაშიზმი, ფაშისტებმა წამოჰყვეს თავი სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, თუ როგორ ჩქარობდნენ ისინი შეტევაზე გადასვლას იმ იმედით, რომ ხალხის მასები უბრძოლველად დაიხევენ უკან მათ წინაშე, ისე როგორც გერმანიაში. მაგრამ თქვენ გახსოვთ აგრეთვე, რომ სწორედ გერმანიის ფაშიზმის გამარჯვებამ გამოიწვია ერთი წლის შემდეგ მძლავრი ანტიფაშისტური მოძრაობა მთელს მსოფლიოში. 1934 წლის თებერვალში საფრანგეთში მუშებმა ფაშიზმის შეტევას უპასუხეს საყოველთაო გაფიცვით, რომელშიც ოთხი მილიონი კაცი ჩაება, ავსტრიაში მათ ხელი მოჰკიდეს იარაღს, ესპანეთში იმავე წლის ოქტომბერში ორი კვირის განმავლობაში იბრძოდნენ ასტურიელი მაღაროელები. ფაშიზმისადმი ამ მასობრივი წინააღმდეგობის მამოძრავებელ ძალას ყველგან წარმოადგენდნენ კომუნისტური პარტიები, რომელნიც ბრძოლის პროცესში სჭედავდნენ მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობას, ყველა მშრომელის მოქმედების ერთიანობას.

პრაქტიკულად ანხორციელებს რა პროლეტარიატის ძალთა გაერთიანებისა და მუშათა კლასისადმი მისი მოკავშირეების შემხრობის დიად ლენინურ-სტალინურ სტრატეგიულ გეგმას, კომუნისტური ინტერნაციონალი VII კონგრესზე ამხ. დიმიტროვის მოხსენებაში კაპიტალის შემოტევასთან, ფაშიზმთან და მოახლოებულ იმპერიალისტურ ომთან საბრძოლველად სახავს მუშათა ერთიანი და ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის ტაქტიკას. ამხანაგ სტალინის ერთგული მოწაფის ამხ. დიმიტროვის გამოსვლამ, რომელსაც მაღლა ეჭირა კომუნიზმის დროშა ლაიპციგში, მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებში.

როგორი იყო უშუალო შედეგები ანტიფაშისტური მოძრაობისა, რომელიც თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში დაიწყო? **საფრანგეთში** მშრომელმა მასებმა საყოველთაო გაფიცვით, მასობრივი დემონსტრაციებით, რომლების მონაწილეთა რიცხვი მილიონ კაცამდე აღწევდა მარტო პარიზში, ჩაშალეს 1934 წლის 6 თებერვლის ფაშისტური პუტჩი, მიაღწიეს კანონის გამოცემას ფაშისტთა შეიარაღებული ლიგების დაშლის შესახებ, ანტიფაშისტური ბრძოლის პროცესში შექმნეს ერთიანი მუშათა და სახალხო ფრონტი; 1936 წლის ზაფხულში მძლავრი საგაფიცვო მოძრაობის შედეგად, რომლის დროს გაფიცულნი საწარმოებს იკავებდნენ, მუშათა კლასმა მიაღწია 40 საათიანი სამუშაო კვირის შემოღებას, ხელფასის მომატებას 30 პროცენტით, მეწარმეთა მიერ შვებულებათა ანაზღაურებას, კოლექტიურ ხელშეკრულებებს და იმას, რომ მეპატრონეებმა სცნეს პროფკავშირები საწარმოებში; მიღწეულ იქნა პროფკავშირთა გაერთიანება, რასაც რამდენიმე თვის განმავლობაში შედეგად მოჰყვა შრომის საყოველთაო კონფედერაციის წევრთა რიცხვის გადიდება 900 ათასიდან 4 მილიონამდე; 7-ჯერ გაიზარდა კომუნისტური პარტია, გაიზარდა მისი გავლენა მშრომელთა ფართო მასებზე და, მაშასადამე, მშრომელი მასები უფრო ძლიერნი გახდნენ ფაშიზმთან ბრძოლაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ანტიფაშისტური მოძრაობა აცამტვერებს პასტორ კოფლინის მსგავს ფაშისტ დემაგოგებს; ამერიკის შრომის რეაქციულ ფედერაციას გამოეყო მემარცხენე ფრთა, ეგრეთწოდებული საწარმოო პროფკავშირთა კომიტეტი, რომელიც სათავეში უდგას ამერიკის მუშათა მოძრაობის მეტი ნაწილის გადასვლას კლასობრივი ბრძოლის პოზიციებზე; სარგებლობს რა ეკონომიური კონიუნქტურის გაუმჯობესებით, მუშათა კლასი ახდენს მთელ რიგ დიდ გაფიცვებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მუშების გამარჯვებით დამთავრდა. გაფიცვას აწყობს 1 მილიონი ფეიქარი, 400 ათასი მაღაროელი, გაფიცვას აწყობენ წარმოების სხვა დარგების მუშები; ნახევარი მილიონი მოსწავლე დემონსტრატიულ გაფიცვას აცხადებს მოახლოებული ომის წინააღმდეგ; იზრდება დემოკრატიული მოძრაობა, რომელმაც უდიდესი გამარჯვება მოიპოვა პრეზიდენტის არჩევნებში. ამ მოძრაობის ტალღაზე იზრდება ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია.

ესპანეთში ასტურიის შეიარაღებული ბრძოლების შედეგად, რომლებსაც მოჰყვა მასობრივი გაფიცვები და უდიდესი დემონსტრაციები, დაეცა ლერუს-ხილ რობლესის მთავრობა. სახალხო ფრონტი 1936 წ. 16 თებერვალს დიდ გამარჯვებას აღწევს არჩევნებში.

ინგლისში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, რუმინეთში ფაშისტური დიქტატორობის პრეტენდენტები, ყველა ჯურის მოსლები, მუსერტები, დეგრელები, კოდრეანუები გამალებით ეშვებიან თავქვე.

მექსიკაში, კუბაში, ჩილიში იმარჯვებს დემოკრატიული მოძრაობა, იქმნებიან მასობრივი პროფკავშირები: დაახლოებით 800 ათას მუშას აერთიანებს მექსიკის შრომის კონფედერაცია, 400 ათას — კუბისა. 200 ათას — ჩილის კონფედერაცია.

ჩინეთში სწრაფად იზრდება ხალხის მასების მოძრაობა ჩინეთის თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა და გაერთიანებისათვის, მასში დემოკრატიული წესწყობილების დამყარებისათვის, მისი ეკონომიური, პოლიტიკური და ნაციონალური აღორძინებისათვის.

ინდოეთში ვითარდება საგაფიცვო მოძრაობა. მარტო ბენგალიის ჯუტის მუშების სამთვიანმა გაფიცვამ 225 ათასი მუშა მოიცვა. მტკიცდება საერთონაციონალური მოძრაობა 1935 წლის რეაქციული კონსტიტუციის წინააღმდეგ; ორი წლის — 1937-1938 წლების — განმავლობაში ნაციონალური კონგრესის წევრთა რიცხვი 630 ათასიდან 4 მილიონამდე იზრდება.

საფრანგეთის კოლონიებში—ინდოჩინეთში, ალჟირში, ტუნისში, სირიაში იმის შედეგად, რომ საფრანგეთში სახალხო ფრონტმა გაიმარჯვა, ამ კოლონიური ქვეყნების მშრომელი მასები ერთგვარ დემოკრატიულ თავისუფლებათა მიღწევას ახერხებენ. აქ ისე როგორც ინდოეთში, ყალიბდება იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის საერთონაციონალური ფრონტი.

ანტიფაშისტური მოძრაობის გაქანებით შეშინებული რეაქციული ბურჟუაზია გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს ერთიანი მუშათა და სახალხო ფრონტის განვითარებას. საფრანგეთში წარმოების საბოტაჟით, კაპიტალებისა და ოქროს საზღვარგარეთ გატანით, ფასების ხელოვნური გადიდებით, ფრანკის გაუფასურებაზე თამაშით მას სურს სახელი გაუტეხოს სახალხო ფრონტს და ამზადებს იმ მთავრობის კაპიტულაციას, რომელიც სახალხო ფრონტის მხარდაჭერით სარგებლობდა. ესპანეთში მემამულენი დაუთესავად სტოვებენ მიწებს და ამზადებენ შიმშილს, ბანკირები და კაპიტალისტები აწყობენ სამეურნეო ნგრევას, გენერლები ამზადებენ ამბოხებას, რათა ბოლო მოუღონ სახალხო ფრონტს. ჩინეთში იაპონიის აგენტები ცდილობენ გომინდანის წასისიანებას ჩინეთის საბჭოების წინააღმდეგ, ყოველნაირი საშუალებით აჩაღებენ შინაომს, რათა რადაც უნდა დაჯდეს, ააფეთქონ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საერთონაციონალური ფრონტი.

მაგრამ სულ უფრო-და-უფრო ცხადი ხდება, რომ რეაქციას არ ძალუძს არც ის, რომ თავისი შინაგანი ძალებით გაუმკლავდეს სახალხო ფრონტს საფრანგეთში, ესპანეთში, არც ის, რომ ჩაშალოს ჩინელი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მაგრამ ამ რეაქციას მსოფლიო რეაქცია ეხმარება. ინგლისის ბურჟუაზიის რეაქციული წრეები სოლცარ ზემოქმედებას ახდენენ საფრანგეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, რათა ამ წრეებისათვის სასურველი კალაპოტით წარმართონ იგი. ესპანეთში გერმანიისა და იტალიის ფაშიზმი აშკარა შეიარაღებულ ინტერვენციაზე გადადის. შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის სამხედრო ხროვა იწყებს დიდ ომს ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ.

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

მოძმე კომპარტიების მისალმებანი საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას

იოსებ სტალინს. სსრკ-ს კომპარტიას

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია მხურვალე ძმურ სალამს უძღვნის **ლენინ-სტალინის** დიად კომუნისტურ პარტიას მისი XVIII ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი მსოფლიოსათვის.

იმ დროს, როდესაც სხვა ქვეყნების ხალხები შეშფოთებული არიან სამრეწველო ქაოსის გადაუჭრელი პრობლემებითა და მასობრივი შიმშილით, და როდესაც ეკონომიური ნგრევის საწინააღმდეგო რეცეპტად ცხადდება საშუალოსაუკუნოებრივობის დაბრუნება კლასობრივი მონობის უფრო ველური მეთოდებით, ნაციონალურ უმცირესობათა უფრო სასტიკი რასიული და ნაციონალური ტანჯვა-წამებით და რელიგიური თავისუფლების მოსპობით. სისხლიან სამხედრო ავანტურებთან ერთად, რომლებიც მეორე მსოფლიო ომს აჩაღებენ,—მთელი კაცობრიობის თვალს არ შეუძლია არ დაინახოს სსრკ-ის აყვავებული სოციალისტური ეკონომიკა. რეაქციული პრესის არავითარ ცდას არ შეუძლია დამალოს ის ფაქტი, რომ სოციალიზმის ამ უმაგალითო ეკონომიურ გამარჯვებებს ფაშისტური მონობისაგან მკვეთრი განსხვავებით, თან ახლავს დემოკრატიის უდიდესი გაშლა, საზოგადოების ყოველგვარი კლასობრივი დაყოფის საბოლოოდ მოსპობა, ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის დაძლევა, სოფლის მოსახლეობის შეძლებულობის ზრდა, რასიული დევნა-შევიწროვების მოსპობა, ყველა ნაციონალური უმცირესობის სრული თავისუფლებით, თვითგამორკვევისა და თანასწორობის საფუძველზე. ამ გამარჯვებებს თან ახლავს აგრეთვე XVIII საუკუნის იმ დიადი რეფორმების პირველი სრული და თანამიმდევრობითი განხორციელება, რომელთაც ყველა ადამიანისათვის უზრუნველჰყვეს რელიგიური თავისუფლება და რომლებიც პირველად დაედო საფუძვლად ამერიკის კონსტიტუციას, ხოლო შემდეგ—საფრანგეთისას.

იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის დაგეგმილი ეკონომიკა ეწევა და წინ უსწრებს კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკას, უძლეველი სოციალისტური სახელმწიფო გახდა მთელს მსოფლიოში დემოკრატიის დაცვის ყველაზე მტკიცე ძალა და ყველაზე საიმედო მეგობარი დემოკრატიული ქვეყნების ყველა ხალხთათვის, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი ნაციონალური დამოუკიდებლობა და საყოველთაო მშვიდობიანობა.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი
ფოსტერი (**თავმჯდომარე**)
ბრაუდერი (**გენერალური მდივანი**).

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობას

მოსკოვი.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია მხურვალე სალამსა და სიმპატიის ულრმეს გრძნობებს უძღვნის ბოლშევიკების **ლენინ-სტალინის** ძლევამოსილ პარტიას, რომელიც დღეს მოსკოვში, მსოფლიოში მუშათა პირველი რესპუბლიკის გულში, ხსნის XVIII პარტიულ ყრილობას.

ბოლშევიკების პარტიამ, რომელიც განთავისუფლებული ხალხის სათავეში იმყოფება, საბჭოთა კავშირი გადააქცია ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნად, მსოფლიოში სოციალიზმის პირველ ბედნიერ ქვეყნად, რომლის კეთილდღეობას და გზას ბედნიერებისაკენ იცავს ძლიერი, უძლეველი წითელი არმია.

საფრანგეთის კომუნისტები, რომლებიც მთელი საფრანგეთის ხალხის გრძნობებს გამოხატავენ, მიესალმებიან საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას), მის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს და მათ მიაჩნიათ, რომ კომუნისტურმა პარტიამ მშვიდობიანობის დასაყრდენად აქცია საბჭოთა კავშირი, რომელიც ერთგული რჩება ყველა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებისა და რომლისკენ მიპყრობილია ყველა დაჩაგრული ხალხის თვალი იმ იმედით, რომ დაცული იქნება თავისუფლება, დამოუკიდებლობა და მშვიდობიანობა.

გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიას და ამხანაგ სტალინს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, რომელსაც კაცობრიობა ბედნიერი ცხოვრებისაკენ მიჰყავს!

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ლონდონიდან. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას

მოსკოვი.

ინგლისის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიის ყველა წევრის, მუშათა ფართო მასებისა და ინგლისის მოწინავე ადამიანების სახელით მიესალმება XVIII ყრილობას, როგორც ახალ ისტორიულ ეტაპს უკლასო კომუნისტური საზოგადოების გზაზე. იმ დროს, როდესაც კაპიტალისტური სახელმწიფოები სულ უფრო ღრმად ეფლობიან კრიზისში და მისგან გამოსავალს მცირე დემოკრატიული ქვეყნების გაცემაში და ახალი აგრესიული ომის მომზადებაში ეძებენ, საბჭოთა კავშირი **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით ანვითარებს მესამე ხუთწლიან გეგმას, რომელიც სოციალისტური მშენებლობის ახალ გამარჯვებებს გვაუწყებს.

ჩვენ თქვენთან ერთად გვახარებს თქვენი დიადი მიღწევები და ახალი გეგმები, რომელთაც ყრილობა მიიღებს. ჩვენ სიტყვას ვიძლევით, რომ სავსებით დაგიჭერთ მხარს ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირთან მთელი ქვეყნიერების მუშათა კავშირში ვხედავთ ჩვენ მთელს მსოფლიოში მშვიდობიანობისა და პროგრესის მტკიცე გარანტიას.

პოლიტი

მისალმება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას ნორვეგიის კომპარტიისაგან

ნორვეგიის კომუნისტური პარტია მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უთვლის ს. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას და დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

ეგედე ნისენი

ამხანაგ სტალინის მოხსენება კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამაა

გამარჯვებათა პატაკებით, ახალი საწარმოო ვალდებულებებით

ახალი საწარმოო გამარჯვებებით, შრომითი ენტუზიაზმის ახალი აზვირთებით შეხვდნენ ჩვენი სოციალისტური ტრანსპორტის ერთერთი დიდი და მნიშვნელოვანი საწარმოს—სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშები ბოლშევიკების პარტიის XVIII ისტორიული ყრილობის გახსნას. 13 მარტს დილიდანვე ქარხნის მთელი ხუთათასიანი კოლექტივი ახალი ენტუზიაზმითა და შრომითი გაქანებით შეუდგა მუშაობას. 13 მარტი მუშებმა ახალი საწარმოო რეკორდების დამყარების დღედ გამოაცხადეს.

დილის შესვენებისას ქარხნის მუშებმა თავი მოიყარეს თავთავიანთ საამქროებში სახელდახელო მიტინგებზე, სადაც მოისმინეს ინფორმაცია ყრილობის გახსნისა და ბელადის მოხსენების შესახებ. ამ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოხსენებას, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

საქვაბე საამქროში ყრილობის მუშაობის შესახებ მიტინგზე ინფორმაციით გამოვიდა პარტკომის მდივნის მოადგილე ამხ. გ. იაკობიძე.

შემდეგ სიტყვები აიღეს სტახანოველებმა.

— ჩვენი ბრიგადა აღტაცებული დიდი სტალინის ისტორიული მოხსენებით — სთქვა ბრიგადირმა ამხ. ივ. ფილიპოვმა, — კისრულობს მარტის განმავლობაში გეგმით გათვალისწინებული 9 საორთქლმავლე ქვაბის მაგიერ შეაკეთოს და გამოუშვას 11 ქვაბი.

— სამი ახალი საწარმოო რეკორდით შეხვდა ჩვენი ბრიგადა,—განაცხადა ორდენოსანმა ბრიგადირმა ამხ. მ. გეწაძემ,—ამ ისტორიული ყრილობის გახსნას. ახლა ჩვენი ბრიგადა ხალხთა ბელადის ბრწყინვალე მოხსენების საპასუხოდ კისრულობს მარტის საწარმოო გეგმა 500 პროცენტით შეასრულოს.

— ვიძლევი სიტყვას, რომ არ დავკმაყოფილდე მიღწევებით, — სთქვა სტახანოველმა კომკავშირელმა ამხ. ვახ. ხატიაშვილმა,—და მარტის საწარმოო გეგმა შევასრულო არანაკლებ ვიდრე 500 პროცენტით.

ასევე ახალი ვალდებულებების აღებით უპასუხეს მეთვრამეტე პარტიული ყრილობის გახსნას ამხ. ვ. ბარბაქაძემ, გ. წულაძემ, გალუჩავამ და სხვ.

ასეთივე სახელდახელო მიტინგები ჩატარდა სხვა საამქროებშიაც—სახარატო საამქროში, სამონტაჟოში, საიარაღოში, საბურღავ-სახარატოში და სხვ.

კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა

თბილისის სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა, პროფესორ-ლექტორთა და მუშა-მოსამსახურეთა მთელი კოლექტივი უდიდესი აღფრთოვანებით გამოეხმაურა ამხანაგ სტალინის საანგარიშო მოხსენებას პარტიის XVIII ყრილობაზე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

სიხარულისა და აღტაცების გრძნობით იყო გამთბარი პროფესორებისა და სტუდენტების მიერ მიტინგზე წარმოთქმული სიტყვები.

—დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მოხსენება კომუნიზმის მშენებლობის ბრწყინვალე პროგრამაა, — ლაპარაკობს პროფ. კ. მეგრელიძე,—უდიდესია ის მზრუნველობა, რომელსაც მშობლიური ბელადი კადრების მიმართ იჩენს. კადრების მზრუნველობით აღზრდა, მუშაკთა ღირსებისა და ნაკლოვანებების გულდასმით შესწავლა, ახალგაზრდა მუშაკების გაბედულად დაწინაურება პასუხსაგებ სამუშაოზე კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ჩვენი სახალხო მეურნეობის წინსვლას, სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — განაგრძობს პროფ. მეგრელიძე — საბჭოთა კავშირის სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად გულმოდგინედ სჭედავს იმ ახალგაზრდა კადრებს, რომელთა შესახებ ასე გულთბილად და მზრუნველობით ლაპარაკობს ამხანაგი სტალინი. სტალინის სახელის ხსენებაზე დარბაზში გაისმის დაუცხრომელი ტაშის გრიალი.

ამაღელვებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სტუდენტები ალ. მგელაძე და ელ. ბოლქვაძე.

ახალი საწარმოო ვალდებულება აიღეს

თბილისის მაუდის ფაბრიკის მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელიც შესდგა გუშინ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, დიდი ყურადღებით ისმენდა პარტკომის წევრის ამხ. ე. ბალანჩივაძის სიტყვას XVIII პარტყრილობის გახსნისა და ამხანაგ სტალინის მოხსენების შესახებ.

სტახანოველები და დამკვრელები თავიანთ მგზნებარე სიტყვებში აღნიშნავდნენ ბელადის მოხსენების უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისათვის. მიტინგზე სიტყვით გამოსულმა საქსოვი საამქროს ქვეოსტატმა ამხ. ა. გომელაურმა წაიკითხა თავისი საამქროს მიერ აღებული ვალდებულებები თავდაცვითი მუშაობის განმტკიცების დარგში და შეჯიბრებაში გამოიწვია კამვოლური საამქრო.

კამვოლური საამქროს ქვეოსტატი ე. გაბისონია აცხადებს, რომ მისი საამქროს XVIII პარტყრილობის სახელობის ბრიგადამ აღებული ვალდებულება 115,3 პროცენტით შეასრულა.

სიტყვებით გამოვიდნენ და ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს სტახანოველებმა ი. ბიბილურმა, ვ. ჰანიშვილმა, ა. ცქიტიშვილმა და სხვ.

დედაქალაქის მშრომელები მიესალმებიან საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას

10 და 11 მარტს მოსკოვის ქარხნებისა და ფაბრიკების საამქროებში, დაწესებულებებში, სამეცნიერო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ტარდება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისადმი მიძღვნილი მიტინგები. მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით მიესალმებიან ისტორიულ ყრილობას და თავის ერთგულებასა და მხურვალე სიყვარულს გამოსთქვამენ ლენინ-სტალინის პარტიისადმი და მისი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

26 კომისრის სახელობის ქარხანაში

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგს, რომელიც მიძღვნილი იყო საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გახსნისა და ამხანაგ სტალინის საანგარიშო მოხსენებისადმი, 500-ზე მეტი კაცი დაესწრო.

მიტინგმა დაძაბული ყურადღებით მოისმინა ქარხნის პარტკომის მდივნის ამხ. გ. მოსიძის ინფორმაცია საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გახსნისა და ამხანაგ სტალინის საანგარიშო მოხსენების შესახებ.

მიტინგზე გამოსული ამხანაგები ტ. ტკაჩენკო, ი. სარქისიანი, ს. ჭოხონელიძე, ა. მელაძე, ბ. რიბაკოვი, შ. შაკილაძე, ნ. გუნჩინი, ნინა იუდენკო, ბ. გრიგორიანი და მ. ბელელაშვილი ლაპარაკობდნენ რა ამხანაგ სტალინის მოხსენების დიდ მნიშვნელობაზე, იღებდნენ ახალ საწარმოო ვალდებულებებს,—ჩვენი ქარხნის დამზადებული თვითეული მანქანა, დაზგა და ჩარხი კიდევ უფრო განამტკიცებს სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას,—აცხადებდნენ მიტინგზე გამოსული სტახანოველები.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მთელი კოლექტივი ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში გულმხურვალედ მიესალმება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას, ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ სტალინს.

ნავთლუღის კვანძზე

12 და 13 მარტს ნავთლუღის რკინიგზის კვანძზე ჩატარდა XVIII პარტყრილობის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგები. მიტინგები ჩატარდა სახალხო და სატვირთო სადგურებში, ლიანდაგების სარემონტო ქარხანაში, მე-7 სალიანდაგო დისტანციაში და სავაგონო-სარემონტო პუნქტში.

კვანძის წარმოება-დაწესებულებათა 1500-იანი კოლექტივი უდიდესი სიხარულით შეხვდა ყრილობის გახსნას და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის საანგარიშო მოხსენებას. მიტინგებზე სიტყვებით გამოსულმა მუშებმა ილაპარაკეს წინასაყრილობო სოცშეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაზე, ერთსულოვნად მოითხოვეს მისი გაგრძელება და იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებები დავალებათა გადამეტებით შესრულებისათვის.

მტვირთავმა მუშამ ამხ. ჯანჯალეიშვილმა, რომელმაც წინასაყრილობო ვალდებულება 210 პროცენტით შეასრულა, იკისრა ახალი ვალდებულება — მარტის გეგმა 295 პროცენტით შეასრულოს; მეორე მტვირთავმა მუშამ ამხ. ცოფურაშვილმა იკისრა ვალდებულება მარტის გეგმა შეასრულოს 350 პროცენტით; მუშა ბონდარევმა განაცხადა, —პირობას ვიძლევი, რომ გეგმას 325 პროცენტით შევასრულებო. ასეთივე ვალდებულებები იკისრეს ელშემდუღებელმა ამხ. განზგურმა, სკრიტნიგმა, მინაკოვმა, ზიარკოვსკიმ, სიროვატკინამ, ხორბალაძემ და სხვ.

მიტინგებზე გამოსული ამხანაგები გამოსთქვამდნენ უსაზღვრო სიყვარულს ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი.

ბელადის მოხსენების საპასუხოდ აიღეს საწარმოო ვალდებულებები

სოხუმი (ტელეგრ. საკ. კორ.). სოხუმის საწარმოებში დიდი აქტივობით ტარდება მიტინგები, მიძღვნილი პარტიის XVIII ყრილობის გახსნისა და ამხანაგ სტალინის მოხსენებისადმი.

მიტინგებზე თავიანთ გამოსვლებში მშრომელები გამოხატავენ უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

თამბაქოს ფაბრიკის სტახანოველმა კოვალიოვმა, ილაპარაკა რა ხალხთა ბელადის მოხსენების უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობაზე, აღფრთოვანებით აიღო ვალდებულება, რომ გააუმჯობესებს პაპიროსის ხარისხს და კიდევ უფრო აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას.

— ჩვენი დიადი ქვეყანა უდიდესი მიღწევებით შეხვდა პარტიის XVIII ყრილობას. ჩემმა საამქრომ აღებული ვალდებულება 202 პროცენტით შეასრულა, ბელადის მოხსენება ჩვენ აღგვაფრთოვანებს ახალი გამარჯვებებისათვის, ვიმუშავებთ უფრო უკეთ, უფრო ნაყოფიერად, — განაცხადა ავტო-სარემონტო საამქროს სტახანოველმა, აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ქალმა ატროშინამ.

თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება მიმდინარე წლის 6 თვის გეგმა შეასრულოს 5 თვეში.

გ. მერკვილაძე

ლენინგრადის თეატრების დაჯილდოება

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წ. 11 მარტის ბრძანებულებით საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებულნი არიან **ლენინის ორდენით:** ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ბალეტისა და ოპერის სახელმწიფო აკადემიური თეატრი და ლენინგრადის სახელმწიფო აკადემიური მცირე საოპერო თეატრი. შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია ლენინგრადის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო დრამის თეატრი. (საკდესი).

ლენინგრადის თეატრების მსახიობთა დაჯილდოება

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წ. 11 მარტის ბრძანებულებით საბჭოთა თეატრალური კულტურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია ლენინგრადის თეატრების 144 მუშაკი. ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: კომპოზიტორი ი. ი. ძერჟინსკი, მსახიობები პ. ზ. ანდრეევი, ნ. კ. პეჩკოვსკი და ბ. ა. ბაბოჩკინი. შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 33 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 77 კაცი, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“—30 კაცი.

○

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 11 მარტის ბრძანებულებით რსფსრ სახალხო არტისტებს პ. ზ. ანდრეევსა და ვ. ა. მიჩურინა-სამოილოვას მიეკუთვნათ სსრკ სახალხო არტისტის სახელწოდება (საკდესი).

მდგომარეობა მადრიდში

პარიზი, 12 მარტი (საკდესი). როგორც „პტი პარიზიენი“ იუწყება, 11 მარტს მადრიდის ცენტრი წარმოადგენდა „თავდაცვის კომიტეტის მიერ“ ფრონტიდან გამოწვეულ საარმიო კორპუსსა და რესპუბლიკის ერთგულ ჯარს შორის გამართული ბრძოლის ასპარეზს. კონტრრევოლუციონერ გენერალთა ჯარმა, როგორც ჩანს, მოახერხა დაეკავებინა ალკალას ქუჩა, რომელიც დედაქალაქის მთავარ არტერიას წარმოადგენს. ბრძოლაში მოქმედებდა არტილერია, ტანკები, ტყვიამფრქვევები და ავიაცია. შენობები, რომლებიც რესპუბლიკის ერთგული ჯარის ერთეულების ხელში იყო, კასადოს ჯარმა დაიკავა ცეცხლგამჩენი ყუმბარების საშუალებით. მადრიდის მუნიციპალური საბჭოს შენობა იწვის.

მადრიდის ჩრდილოეთი და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი უბნები ისევ რესპუბლიკელთა ხელშია.

„პტი პარიზიენი“ იუწყება, რომ რესპუბლიკელები კონტრშეტევაზე გადავიდნენ კონტრრევოლუციონერ გენერალთა იმ კორპუსის ჯარის წინააღმდეგ, რომელიც ფრონტიდან მოვიდა.

○

ლონდონი, 13 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს მიერ დღეს გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ მდგომარეობა მადრიდის გარეუბნებში კვლავ დაძაბულია. რესპუბლიკელთა ჯარი, რომელიც საფუძვლიანად გამაგრდა გარეუბნის დასავლეთ ნაწილში, გადამჭრელ წინააღმდეგობას უწევს მოღალატეებს. რესპუბლიკელთა ძალები უმთავრესად 1-ლი და მე-2 რესპუბლიკური კორპუსების ერთეულებისაგან შესდგება. მიუხედავად ეგრეთწოდებული „თავდაცვის საბჭოს“ არა ერთგზის ბრძანებისა დაგმორჩილდითო, რესპუბლიკის ერთგული ჯარი იშვიათი შეუპოვრობით განაგრძობს ბრძოლას. რესპუბლიკური ზონის სხვა ქალაქებში მადრიდის ხროვის ჯარს აგრეთვე გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ რესპუბლიკელები.

მიახამ გამოაქვეყნა ბრძანება, რომლის თანახმადაც ყველა კომუნისტი, რომელსაც სამეთაურო თანამდებობა უკავია, იხსნება თავისი პოსტიდან.

დაძაბული მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში

პარიზი, 13 მარტი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიიდან და ბერლინიდან მიღებული ცნობები ჰმოწმობენ, რომ კრიზისი, რომელიც გამოწვეულია გერმანიის მხრივ შთაგონებული სლოვაკელი სეპარატისტების მიერ, ჯერ კიდევ არ გათავებულა.

ბერლინიდან მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე სწარმოებს გერმანელთა მოიერიშე რაზმების კონცენტრაცია. ჩეხოსლოვაკიის საზღვრის გასწვრივ კონცენტრირებულ მოიერიშეთა საერთო რიცხვი 10.000 კაცს უდრის. გადმოგვცემენ აგრეთვე რეგულარული ჯარის მნიშვნელოვანი გადაჯგუფების შესახებ.

ბრატისლავიდან მიღებულია ცნობები, რომელთა მიხედვითაც 11 მარტს ღამით გერმანიიდან დიდძალი იარაღი იყო გადაგზავნილი ბრატისლავაში. იარაღი განკუთვნილია სლოვაკიის გერმანელთა პარტიისათვის.

○

ლონდონი, 13 მარტი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ამბები მოქცეულია ინგლისის პრესის ყურადღების ცენტრში. გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია გერმანიის პირდაპირი ჩარევა ჩეხოსლოვაკიის საქმეებში.

გაზეთ „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტი ბრატისლავიდან იუწყება, რომ გუშინ, როდესაც 38 ათასმა ჩეხმა ჯარისკაცმა და ჟანდარმმა სლოვაკია დასტოვა, ფაშისტთა აგენტები ბრატისლავაში შეიკრიბნენ ეგრეთწოდებული „გერმანული სახლის“ — გერმანელ ფაშისტთა მთავარი ბანაკის მახლობლად. კორესპონდენტმა ნახა, თუ როგორ მოვიდა იარაღით დატვირთული ორი სატვირთო მანქანა ავსტრიის ტერიტორიიდან. სამი ფაშისტი შაშხანებს ურიგებდა აქ თავმოყრილ გერმანელ აგენტებს. შაშხანებით შეიარაღებული გერმანელი მოიერიშეები და სლოვაკელი ფაშისტები ყიჟინით „ჩვენ მოვითხოვთ ანშლუსს“ გაემართნენ მთავრობის შენობისაკენ და დაიკავეს იგი. ამის შემდეგ გერმანელ მოიერიშეთა რაზმებმა დაიწყეს ებრაელთა დარბევა.

დღეს დილით ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტმა ბრატისლავიდან გადმოსცა, რომ გერმანელმა და სლოვაკელმა ფაშისტებმა გაანთავისუფლეს სახელმწიფო დაწესებულებანი, რომლებიც მათ წინადღით დაიკავეს.

ბრატისლავაში უფრო მეტია გერმანული ბაირაღი, ვიდრე სლოვაკური. სლოვაკიაში გერმანელ ფაშისტთა ხელმძღვანელების ველური თავდასხმა ჩეხებზე მოგვაგონებს გერმანელი ფაშისტების გამოსვლებს იმ დღეებში, რომლებიც წინ უსწრებდნენ მიუნხენის შეთანხმებას. მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში გერმანელი მოიერიშეები მცირე ჯგუფებად გადადიოდნენ დუნაიზე გერმანიის სოფლებიდან და ვენიდან ბრატისლავაში. ახალგაზრდა სლოვაკელ ფაშისტებს ისინი ეუბნებოდნენ: „ჰიტლერი ოთხშაბათს შემოვა ბრატისლავაში“.

შეცდომის გასწორება

ამხანაგ **სტალინის** მოხსენების მეორე თავში (იხ. „კომუნისტის“ 12 მარტის ნომრის მეორე გვერდი) მოყვანილია ცხრილი —„2) კომბაინებისა და სხვა მანქანების პარკი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში (ათას ცალობით; წლის დამლევისათვის)“, რომელშიაც გამოტოვებულია შემდეგი ცნობები სატვირთო ავტომობილების შესახებ: 1933 წელს ითვლებოდა 26,6 ათასი მანქანა, 1934 წელს—40,3 ათასი, 1935 წელს—63,7 ათასი, 1936 წელს—96,2 ათასი, 1937 წელს—144,5 ათასი და 1938 წელს—195,8 ათასი. 1933 წელთან შედარებით 1938 წლის დამლევისათვის სატვირთო ავტომობილების რიცხვი გაიზარდა 736,1 პროცენტით.

ამხანაგ **სტალინის** მოხსენების მესამე თავის მე-4 ნაწილში „თეორიის ზოგიერთი საკითხი“—(იხ. მე-4 გვერდის მეოთხე სვეტი) პირველი აბზაცის მე-4, მე-5 და მე-6 სტრიქონები უნდა იკითხებოდეს ასე: „... გარკვეულობის უქონლობა თეორიის ზოგიერთ საკითხში, რომლებსაც სერიოზული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს“... და შემდეგ როგორც ტექსტშია.

ქალთა ავტო და მოტო გადარბენები

(სპეც. კორესპონდენტისაგან).

12 მარტს თბილისის ავტო-მოტო-კლუბმა მოაწყო ქალთა საგაზაფხულო ავტო-მოტო გადარბენები.

ავტოკოლონა 17 მანქანის შემადგენლობით, ავტომობილისტ ინჟინერ ქალის ნ. ხრუსტალიოვას კომანდორობით გაემართა ლუქსემბურგისაკენ, ხოლო მოტო კოლონა 15 მოტოციკლისტის შემადგენლობით, მოტოციკლისტი ქალის ლ. მამედოვას კომანდორობით — დუშეთისაკენ.

დილის 9 საათზე საზეიმოდ მორთული ავტომობილები და მოტოციკლეტები შეერთებული კოლონით დაიძრნენ ლ. ბ. ბერიას სახელობის მოედნისაკენ, სადაც დანიშნული იყო გადარბენის სტარტი. მოედანზე გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რომელზედაც საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჭელიძემ გადარბენის მონაწილეებს მიმართა მოკლე სიტყვით და უსურვა გადარბენის წარმატებით ჩატარება.

სრულ 11 საათზე გაისმა კომანდორების სიგნალი და მანქანები დაიძრნენ თავიანთი მიმართულებით.

გზად ლუქსემბურგისაკენ ავტოკოლონას დასახლებულ პუნქტებში ადგილობრივი მშრომელები უწყობდნენ საზეიმო შეხვედრებს, იმართებოდა სახელდახელო მიტინგები. დიდი მიტინგები გაიმართა ბორჩალოსა და ლუქსემბურგში. გამოსული ორატორები ამახვილებდნენ ყურადღებას ქალის როლზე სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

ლუქსემბურგში გადარბენის კოლონას ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების სახელით მიესალმნენ საქ. კ. პ. (ბ) ლუქსემბურგის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ვ. დოიჯაშვილი და კომკავშირის რაიკომის მდივანი ამხ. გ. სააკიანი.

ავტოკოლონას თან ახლდა მეჩონგურე-ქალთა ანსამბლი ელ. მეგრელიძის ხელმძღვანელობით, რომელიც გზადაგზა ასრულებდა საჩონგურო სიმღერებს, ხოლო თვით ლუქსემბურგში წარმოადგინა საჩონგურო მუსიკისა და სიმღერების ვრცელი პროგრამა.

გადარბენაში მონაწილეობას იღებდნენ საქ. კინოქრონიკის ოპერატორი ქალი თ. თუშურაშვილი და რეჟისორის ასისტენტი ქალი ლ. გოშაძე, რომელთაც კინოქრონიკისათვის გადაიღეს გადარბენის მთელი მსვლელობა.

ლუქსემბურგიდან ავტოკოლონა გამობრუნდა საღამოს 8 საათზე და თბილისში ჩამოვიდა ღამის პირველ საათზე.

ქალთა ავტო გადარბენამ, რომელიც მიძღვნილი იყო საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გახსნისადმი, წარმატებით ჩაიარა. გავლილ იქნა 150 კილომეტრამდე.

ჩვენმა ავტომობილისტმა ქალებმა უჩვენეს მანქანების მართვის მაღალი ხარისხი და ამტანიანობა. გადარბენაში მონაწილეობა მიიღო სულ 40-მა ქალმა.

მარო ზაალიშვილი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

14 მარტს თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში აწყობს ამხ. **იმედაძის** ლექციას თემაზე: ბოლშევიკური პარტიის თეორია და ტაქტიკა ომის, მშვიდობიანობისა და რევოლუციის საკითხებში. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

14 მარტს ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში—ლექციას თემაზე: ესპანეთის პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

14 მარტს ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება ამხ. **ბურჭულაძის** საინსტრუქციო ლექცია თემაზე: პარიზის კომუნის შესახებ. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

16 მარტს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება ამხ. **ლ. ს. გეგეშიძის** ფასიანი ლექცია თემაზე:

„ისტორიული მნიშვნელობა ვ. ი. ლენინის შრომისა „ნაბიჯი წინ ორი ნაბიჯი უკან“.

რუსულ ენაზე. შესვლა 1 მანეთი. ბილეთები იყიდება საკონცერტო დარბაზის სალაროში, რუსთაველის პროსპექტი, № 21.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

14/III წარმოდგენა 137	15/III წარმოდგენა 138	16/III წარმოდგენა 139
არსენა	უდანაშაულოდ დამნაშავენი	თოფიანი კაცი

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

14/III	15/III	16/III
მუდმ. ადგ. ტალ. № 119 აბ. სერ. № 5	მუდმ. ადგ. ტალ. № 120	მუდმ. ადგ. ტალ. № 121 აბ. სერ. № 1
წყნარი დონი	სევილიელი დალაქი	ქეთო და კოტე

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო
თეატრი

14/III	კოლმეურნის ქორწინება
15/III	უბრალო გოგონა
16/III	შური

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქ. ჯანსახკომის თბილისის კბილის საექიმო სკოლა ა/წ.
15 მარტიდან ფურცელაძის ქ. № 22-ში
ხსნის კბილის საპროთეზო კლინიკას
კლინიკაში შესრულებული იქნება პირის ღრუს ყველა სახის
პროთეზები ფრიად დაბალ ფასებში.
ავადმყოფების მიღება: დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
1247

ექიმი აგაბო გუნიავა, ლიზა, კალენიკე დოლიძეები იუწყებიან მეუღლის და დის
ნინა უკლება-გუნიავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. დაკრძალვა 16/III. 5 ს. ორჯონიკიძის, 74. 1250

დამწუხრებული შვილები: სერგო, ვალოდია, თედო, ვიქტორ, სონია, დები: ეფემია, ხათუა, რძლები, შვილიშვილები იუწყებიან
ანდრია პეტრეს-ძე დაუშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 14/III. 4 ს. კიკვეთის, 39. 1252

ქმარი ვანო, შვილები: კოლია, მარო, ოლია, ალიოშა ჯაფარიძეები, ძმა ვასია კვიტინსკი, სიძეები, შვილიშვილები იუწყებიან
ევგენია ფრანცის-ას. ჯაფარიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 16/III. 1251

მშობლები: ელენე, კლიმენტი, ბებია მატრონა, მამიდები: ზინა, მარო, ძმა ოთარ ჯახაიები იუწყებიან ძვირფას
სოსიკოს (სამსონი)
გარდაცვალებას. გამოსვენება მარის, 2, 14 მარტს, 5 ს. ვაკის სასაფლაოზე. 1254

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი: კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 1713